სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 თებერვალი 2007 №26 (2949) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმპერატორი გაოცდა: ნახევარი თურქეთი თბილისში დახვდა





VS





## ჩაიშალა!

### ბრაზილიამ ძალიან ძვირი თქვა

საქართველო — ბრაზილიის ამხანაგური მატჩი, რომლის ჩატარებაც თითქმის გადაწყვეტილი იყო, აღარ გაიმართება!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა და ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე გუშინწინ ბრაზილიელ კოლეგებს ლონდონში შეხვდნენ, იქიდან კი ასეთი ამბავი ჩამოიტანეს: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს პირი გაუტეხიათ და თბილისში სათამაშოდ წინასწარ მოლაპარაკებულზე თითქმის ორჯერ მეტი თანხა მოუთხოვიათ, რისი გადახდაც ფეხბურთის ფედერაციას არ შეუძლია, არადა...

„ლონდონში გამზადებულ კონტრაქტზე ხელმოსაწერად ჩავედით, მაგრამ ბრაზილიელებმა მოულოდნელად თანხა გაგვიორმაგეს, მათი სიტყვა კი ჩვენთვის მიუღებელი გამოდგა" — გვითხრა უჩა უგულავამ.

22 აგვისტო, როცა საქართველოს ბრაზილიისთვის უნდა ემასპინძლა, ფიფასგან დათქმული სანაკრებო მატჩების დღეა, ფეხბურთის ფედერაციას კი ახლა ბრაზილიის ნაცვლად სხვა მეტოქის მოძებნა მოუწევს.



## იტალიამ კაცი და სირცხვილი დაკრძალა

# რა იქნება დღეს?

„იტალიის სერია A ალბათ კვირას განახლდება" — ეს სიტყვები წუხელ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კომისიონერმა ლუკა პანკალიმ წარმოთქვა, თუმცა იქვე დასძინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ქვეყნის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მიიღებენ.

როგორც ვივარაუდეთ, გადაწყვეტილებას „კატანია" — „პალერმოს" მატჩის შემდეგ მოკლული პოლიციელის, ფილიპო რაჩიტის დაკრძალვამდე არავინ მიიღებდა და ასეც მოხდა. რაჩიტი უკვე მიაბარეს მიწას და მოლაპარაკებებიც გახურდა.

წუხელ პანკალი კლუბების მმართველებთან ერთად შეხვდა ხელისუფლების წარმომადგენლებს და ზემოთ ნახსენები ვარაუდიც ამის შემდეგ გამოთქვა.

და მაინც: რა იქნება დღეს?

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT





# კლაუს ტოპმიოლერი გუშინ ზარს ელოდა, დღეს კი მოგებას ელის

**თურქეთთან** დღევანდელი მატჩის წინ ისედაც შესუსტებულ საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი ფეხბურთელი დააკლდა — კაპიტანი კახა კალაძე, ვინც ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ სათანადო სათამაშო ფორმაში ჯერ არ არის და კლაუს ტოპმიოლერთან შეთანხმებით „მილანში" დარჩა. მოკლედ, თურქეთთან შეხვედრისთვის გამოძახებული 20-კაციანი შემადგენლობა მწვრთნელს 15-მდე შეუთხელდა, სამატჩო 18-კაციანი განაცხადის ბოლომდე შესავსებად კი ტოპმიოლერი სამ ფეხბურთელს ალბათ ახალგაზრდული ნაკრებიდან დაუძახებს. თუმცა ძნელი სათქმელია, მათ ათამაშებს თუ არა. გუშინდელი მთავარი სანაკრებო ამბავიც სწორედ ეს არის.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაც გაიმართა და ერთი სიახლის თაობაზე იქაც ითქვა, უფრო სწორად გადაწყდა, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება — ხორვატი პეტარ სერგტი, ვინც კლაუს ტოპმიოლერის ძველი მეგობარია, ხოლო აქამდე ეროვნული გუნდის მწვრთნელებს მეტოქეების შესახებ საჭირო ცნობებით ამარაგებდა. ახალგაზრდულის თავკაცის პოსტზე სერგტიმ რალფ მინგე შეცვალა, რომელიც ახლა უკვე მთლიანად ეროვნულზე იქნება კონცენტრირებული, ის ხომ კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეა. გარდა ამისა გუშინდელ აღმასკომზე გადაწყვიტეს, რომ აფხაზეთის ომში დაღუპული ფეხბურთის დიდი ქომაგის გურამ გაბისკირიას ხსოვნის საპატივცემულოდ ფედერაცია მასობრივ ღონისძიებებს ჩაატარებს. აღმასკომზე ერთი საკითხიც ბოლნისის „სიონის" მწვრთნელ კახა ცხადაძისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნას შეეხებოდა, მაგრამ საჭირო საბუთებისა და მიმართვის უქონლობის გამო, ბოლნისელთა თხოვნა ჯერ არ დააკმაყოფილეს, თუმცა ამ საქმეს ჩემპიონატის განახლებამდე აღმასკომი კიდევ მიუბრუნდება.

„საქართველოს ნაკრებმა კი გუშინ ეროვნულ სტადიონზე თურქების მისვლამდე ივარჯიშა. ფიზიკური დატვირთვები ფეხბურთელებს, ცხადია, ნაკლები ჰქონდათ, მწვრთნელმა აქცენტი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებაზე გააკეთა და გუნდს რამდენიმე ახალი სავარჯიშო შეასრულებინა. კლაუს ტოპმიოლერმა ამ ვარჯიშებისთვის ახალგაზრდული გუნდიდან ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი დაიმატა — გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, ზურაბ გვაძაბია, ლადო დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ელბაქიძე და ალექსი ბენაშვილი. ამათგან კი შესაძლოა ორი-სამი დღეს ეროვნული გუნდის სათადარიგოთა შორის იყოს.

ვარჯიშამდე, რომელიც ექვს საათზე დაიწყო, კლაუს ტოპმიოლერმა ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცისა და კომპანიების — „ჯეოსელისა" და „ტიბაანის" წარმომადგენლების თანდასწრებით წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართა.

— უკვე გადაწყვეტილია, რომ თურქეთთან ვერც ჯაბა კანკავა ითამაშებს, ვერც კახა კალაძე, რომელიც სასურველ ფორმაში არ არის და ვამჯობინეთ, ამ მატჩისთვის აღარ ჩამოგვეყვანა. რა განწყობა, როგორი შემადგენლობაც გვყავს, თურქეთს იმით უნდა დავუპირისპირდეთ. უკვე შეგუებულები ვართ, რომ შოტლანდიასთან კანკავა და მალხაზ ასათიანი დაგვაკლდებიან და იმედი მაქვს მათ სხვა არავინ დაემატება. შოტლანდიის შემდეგ რამდენიმე დღეში ფარერებს ვმასპინძლობთ, ამ შეხვედრის შემდეგ კი ალბათ უძლიერესი შემადგენლობა გვეყოლება. ბევრჯერ მითქვამს და ვიმეორებ, ნაკრებში ყველა საუკეთესომ რომ შეძლოს ჩამოსვლა, ძალიან ძლიერი გუნდი გვეყოლება.

— თურქეთთან მატჩის წინ ფეხბურთელები საკმაოდ მონდომებულნი არიან, საბრძოლო განწყობა აქვთ, რაც იმედი მაქვს, თამაშზე აისახება და დადებით შედეგთან ერთად ხარისხიან ფეხბურთსაც ვითამაშებთ.

— ნუ დავივიწყებთ, რომ თურქეთთან ტესტ-მატჩია, ასეთი შეხვედრისას კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფეხბურთელების შესაძლებლობების შემოწმება. მათ კიდევ ერთი შანსი ექნებათ ეროვნულ გუნდში დასამკვიდრებლად და შანსი უნდა გამოიყენონ, როგორც, მაგალითად, ლადო ბურდულმა და დავით სირაძემ ეს ურუგვაისთან გააკეთეს. თურქეთთან ითამაშებს მარცხენა მცველი ზაალ ელიავა, რომელიც ფლანგზე სახიფათო გარღვევებით გამოირჩევა და მეტოქისთვის პრობლემების შექმნა შეუძლია. ის ნაკრებში სტაბილურად თამაშთან ახლოსაა.

— რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში მოთამაშე ფეხბურთელებმა მზადება ახლახან დაიწყეს და ოპტიმალურ ფორმაში არ არიან. თავადაც ამბობენ, რომ რთული პერიოდი აქვთ.

— როცა ურუგვაის ვხვდებოდით, მაშინაც ამბობდნენ, რომ ფავორიტი მეტოქე იყო. ჩემთვის კი ამას მნიშვნელობა არ აქვს. საქართველო ყველასთან მოსაგებად თამაშობს და ბედნიერი ვიქნები, თუ თურქეთთანაც იმავე შედეგს მივიღებთ, რაც ურუგვაისთან გვქონდა.

— მაშინ, ურუგვაის ნაკრებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გვქონდა, ზუსტად გამოვიცანით მეტოქის შემადგენლობაც. ვცდილობთ, რომ თურქეთიც ბოლომდე შევისწავლოთ. ტელეფონი ახლა ჩართული მაქვს და ყოველწუთს ზარს ველი, მეტოქეზე ინფორმაცია უნდა მომაწოდონ. ვფიქრობთ მათ შესაძლო შემადგენლობაზე და ჩვენი გუნდიც ამის შესაბამისად ითამაშებს. ახლა ყველაფერს ვერ ვიტყვი, თამაშისას გამოჩნდება ჩვენი ჩანაფიქრი.

— მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია, სხვების დამატებას არ ვაპირებთ, გარკვეული ტაქტიკური ვარიანტების დასამუშავებლად მხოლოდ დღევანდელი ვარჯიშისთვის გადმოვიყვანეთ ახალგაზრდული გუნდიდან შვიდი ფეხბურთელი. სხვა ფეხბურთელების დამატებას კი იმიტომ არ ვაპირებთ, რომ ამ ეტაპზე გვსურს მხოლოდ მათ დავაკვირდეთ, რომლებიც ადრევე გამოვიძახეთ.

— პეტარ სერგტის ჯერ კიდევ „ბოხუმში" მუშაობის პერიოდიდან ვიცნობ. მას ტალანტების აღმოჩენის დიდი ნიჭი აქვს, მან ბევრ ფეხბურთელზე მიმანიშნა, რომლებმაც შემდეგ დიდი ფეხბურთი ითამაშეს. მისი აღმოჩენილია, მაგალითად, ილდირაი ბაშთურქი. ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს ისე ვამჯობინეთ, რომ ახალგაზრდული გუნდი სწორედ სერგტისთვის ჩაგვებარებინა, რალფ მინგე კი ახლა მხოლოდ ეროვნულ გუნდში დაკავდება. სერგტის დაევალება სასელექციო საქმე და ის მეტ დროს საქართველოში გაატარებს, დაესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს. სერგტი დეკემბრიდან ისედაც საქართველოშია.

კლაუს ტოპმიოლერმა საუბარი დაამთავრა და მოედანზე შეკრებილ შეგირდებს შეუერთდა. შემდეგ კი ორიოდ სიტყვა ნოდარ ახალკაცმა და „ჯეოსელისა" და „ტიბაანის" წარმომადგენლებმა თქვეს. ეს კომპანიები დღევანდელი მატჩის სპონსორები არიან, რისთვისაც ფედერაციის პრეზიდენტისგან მადლობა და თბილი სიტყვები მიიღეს. ახალკაცმა ქომაგობას დღევანდელ მატჩზე წესრიგისკენ მოუწოდა და ის ამბავი გაიხსენა, რაც თბილისში თურქეთის ნაკრების სტუმრობას მოჰყვა. მაშინ, ალბათ გახსოვთ, მატჩის შემდეგ დიდი არეულობა იყო, რის გამოც საქართველოს ნაკრებს მომდევნო ორი საშინაო მატჩის ჩატარებამ ცარიელი ტრიბუნების წინ მოუწია. ეს უეფას სასჯელი იყო.

დღევანდელი მატჩი კი „ეროვნულზე" 21 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი ერთი ლარია და ალბათ ტრიბუნებიც ბოლომდე შეივსება. საქართველო — თურქეთს, წინასწარი ინფორმაციით საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები დაესწრებიან. სტადიონზე წესრიგს კი ორი ათასამდე პოლიციელი დაიცავს, რაც მხოლოდ დიდი რისკის მატჩებზე ხდება ხოლმე.

მოკლედ, დღეს კარგი მატჩი უნდა გამოვიდეს და კარგი იქნება, ქომაგობაც რიგიანი თუ გამოვა. აღარ გვინდა ბოთლების და ბოქლომების მოედანზე სროლა. გაიხსენეთ, რომ საქართველოს ნაკრები თურქეთს ტრაბზონში ორჯერ ესტუმრა და იქ ჩვენებს მართლაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით დახვდნენ.

**კობა ინასარიძე**

## თურქებმა ვარჯიში დამალეს

საქართველოს ნაკრების ვარჯიში მორჩა და „ეროვნულის" მინდორზე ფათიჰ თერემი და მისი სამწყსო გავიდა. ისე ვიცოდით, ვარჯიში ღია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ათიოდ წუთში სტადიონის დაცვის სამსახურმა გასასვლელი კარისკენ მიგვითითა — თურქებმა ვარჯიში დახურეს. თერიმმა მხოლოდ ნახევარი წუთით მოიცალა ჟურნალისტებისთვის და მოკლედ თქვა, მიუხედავად დანაკლისისა, გულშემატკივარს ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებთო.

და რა დანაკლისია ოსმალოთა გუნდში? არ იქნებიან ნახევარდაცვის ლიდერები: „ნიუკასლის" ემრე ბელოზოღლუ და „ჰერტას" ილდირაი ბაშთურქი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი

**პირველი ლიგა. გადადებული მატჩები**

ოლდემი — ბლეკპული გადაიდო | პორტ ვეილი 1:0 ნორთჰემპტონი

როტერჰემი — სუონსი გადაიდო

**მეორე ლიგა გადადებული მატჩი**

როვერსი 1:2 დარლინგტონი

**კონფერენსლიგა გადადებული მატჩები**

ალდერშოტი 1:0 გრეისი

სენტ ალბანსი — მორეკემბი გადაიდო

### ამხანაგური მატჩები

ბულგარეთი 2:0 ლატვია

კვიპროსი 2:1 უნგრეთი

მალი 3:1 ლიტვა

ნიგერია 1:4 განა

ჩრდ. ირლანდია 0:0 უელსი

ავსტრალია 1:3 დანია

ბრაზილია 0:2 პორტუგალია

საბერძნეთი 0:1 სამხრეთ კორეა

**ახალგაზრდულები (U-21)**

ჩეხეთი 2:0 სლოვენია

მალტა 0:4 ფინეთი

ჩრდ. ირლანდია 0:4 უელსი

პორტუგალია 3:0 ესტონეთი

შოტლანდია 0:2 გერმანია

პოლანდია 3:0 რუსეთი

ინგლისი 2:2 ესპანეთი

# აეროპორტში თავჩახრილი იმპერატორი

## ო, ლა, ლა, ლა, ლა



„ო. ლა, ლა, ლა, თურქიე, თურქიე!“ ასე მღეროდნენ თურქთა ქომაგები გუშინ, როცა აეროპორტის შენობიდან ფეხბურთელები გამოვიდნენ. მათ ასეთი დახვედრა იციან, მღერიან და ხტიან, მოთამაშეებს გადაუდგებიან, სახეს სახესთან მიუტანენ, ამხნევებენ, ხელებს მხარზე უტყაპუნებენ.

თურქთა ნაკრების ფეხბურთელებს ლამის აეროპორტის მთელი დაცვის თანამშრომლების დახმარება დასჭირდათ, ავტობუსში რომ ასულიყვნენ. ყველაზე მეტად კი ფენერბაჰჩელი თუნჯაი სანლი ჰყვარებიათ, ბიჭმა ძლივს დააღწია ქომაგებს თავი და ავტობუსამდე მილასლასდა.

ფეხბურთელები ტრანსპორტში მოკალათდნენ და „მეორე სერია“ დაიწყო — ქომაგებმა ალყაში მოაქციეს „იმპერატორი“, ყველაზე სახელიანი თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი. შავ პალტოში გამოწყობილი, ყელზე მოცისფრო შარფშემოხვეული თერიმი თავის დროზე ექსცენტრიული საქციელით სხვებს რომ აოცებდა, თავად გაოცებული ჩანდა ასეთი დახვედრით. ალყიდან რომ ველარ გამოაღწია, დაცვის სამსახური დაეხმარა და ავტობუსამდე მიაცილა, ის კი თავჩახრილი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

გზაში ავტობუსს თურქ ქომაგთა რამდენიმე მანქანა აედევნა, ერთ-ერთის სახურავიდან (ავტომობილის „ზედა ფანჯრიდან“, საიდანაც ამომძვრალი ოპერატორები ჩვენში ქორწილებს რომ იღებენ) მავანი თურქი ფანი ამოხტა და ხელგაშლილი გაჰკიოდა: „თურქიე! თურქიე!“ ასე ტაშ-ფანდურით მივიდნენ თურქები „ქორთიარდ მერიოტამდე“.

ფათიჰ თერიმი პირველადაა საქართველოში. ზემოთ მისი ექსცენტრიულობა ვახსენეთ და, ვფიქრობთ, „შავი მუშის“ ოჯახში გაზრდილი კაცის ბიოგრაფიაში ჩახედვა ურიგო არ იქნება. 1953 წელს ადანაში დაბადებული თერიმის მშობლებს მუდმივი საცხოვრებელიც კი არ ჰქონდათ, ხოლო ბიჭი ექვსი წლიდან მამას ეხმარებოდა. სკოლიდან მალევე გამოვიდა და სამუშაოს შემდეგ ქუჩაში ბურთს დასდევდა.

16 წლისა „ადანადემირსფორის“ საფეხბურთო სკოლაში მიიღეს. ოჯახს მისთვის გადასახდელი ფული არ ჰქონდა და ამიტომ კლუბი, სხვა ფეხბურთელებისგან მალულად თავისი სალაროდან იხდიდა ნიჭიერი ბიჭის ხარჯებს.

სამ წელიწადში კაპიტანი გახდა. პირველივე მატჩში, გუნდი რომ გაჰყავდა მოედანზე, შეუტრიალდა ბიჭებს და უთხრა, მომყევითო. კაპიტანი გაიქცა, მოედნის ცენტრში გაჩერდა, შემობრუნდა და ერიჰაა! სად არიან თანაგუნდელები? „ისე სწრაფი ვიყავი, რომ ვერავინ მომყვა და ამით თავად დავრჩი გაოცებული“ — უთქვამს მოგვიანებით „იმპერატორს“.

ხუთი სეზონი გაატარა „ადანადემირსფორში“, შემდეგ „გალათასარაიში“ გადავიდა და 11 წელი დაცვის ცენტრში ითამაშა. სიგიჟე ბევრი იყო მის კარიერაში. სად იყო ზიდანი, თერიმი რომ თავს ურტყამდა მეტოქეებს. ერთხელ ფეხბურთელს დაჰკრა თავური, მეორედ მსაჯს მიაფურთხა სახეში, მერე მსაჯსაც დაარტყა თავი იმის გამო, რომ მის თანაგუნდელს წითელი ბარათი უჩვენა. მოედნის გარეთაც არ ეხარებოდა მუშტი-კრივი და რამდენჯერმე სტამბოლის ღამის კლუბებშიც უნახავთ ხელგაქნეული.

აი, ასეთი კაცია თურქეთის ნაკრების მწვრთნელი, ყველაზე სახელიანი კი იმიტომაა, რომ პირველად ისტორიაში, 1996 წელს თურქეთი ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა, 2000-ში კი „გალათასარაის“ უეფას თასი მოაგებინა — ფინალში თვით ლონდონის „არსენალს“ სძლია.

ამის შემდეგ შეარქვეს „იმპერატორი“. დღეს კი თურქმა ქომაგებმა არ უნდა აჯობონ ქართველებს. თურქული „ო, ლა, ლა, ლა, ლა“ აუცილებლად იქნება, თან ძალიან ხმამაღალი.

ფათიჰ თერიმისთვის დღევანდელი მატჩი 55-ე იქნება სანაკრებო კარიერაში. იგი გაუსწრებს ჯოშკუნ ოზარის და რეკორდსმენი გახდება ნაკრების მწვრთნელთა შორის. თერიმის მონაგარი დღემდე ასეთი იყო: 27 მოგება, 15 ფრე და 12 წაგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რა იქნება ჩივაძის და მუსიეს შემდეგ?

**დღეს** საქართველოს ეროვნული ნაკრები მეოთხედ გაეჯიბრება თურქეთს, რომლისთვისაც ჯერ არ მოუგია და ბურთების შეფარდება 3 — 9 აქვს.

...2002 წელს შენოლ გიუნეშის გაწვრთნილმა თურქებმა კორეა-იაპონიაში გამართულ მუნდიალზე კვესს ისე გაჰკრეს, აგიზგიზდნენ და ბრინჯაო მოინაგრეს. იმავ წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო და ფედერაციის მაშინდელ თავს მერაბ ჟორდანიას აქტივში ჩაეთვლებოდა, თუ ასეთ მეტოქესთან გაახერხებდა ამხანაგურ მატჩს. შოთა არველაძის კონტაქტებით და დახმარებით, ვინც გიუნეშის შეგირდი იყო 1993-95 წლებში „ტრაბზონში“, ამ შეხვედრის გამართვა შესაძლებელი გახდა და სიმბოლური იყო ისიც, რომ თამაში ტრაპიზონში დაინიშნა.

საქართველოს ნაკრებს გუნდში ხელმეორედ დანიშნული მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ხელმძღვანელობდა, ვისაც 1981 წლის 23 სექტემბერს სსრკ — თურქეთის შეხვედრაში თურქთა მეკარე შენოლ გიუნეშისთვის პირველი გოლი გაეტანა — მაშინ საბჭოთა ნაკრებმა 4:0 იძალა. 21 წლის შემდეგ კი გიუნეშმა ის გოლი ერთი სამად აზღვევინა ჩივაძეს — საქართველოს ნაკრებმა ტრაპიზონში ხეირიანი ვერაფერი შექმნა და ისე წააგო 0:3. ორი დღის შემდეგ კი ფედერაციის არჩევნები გაიმართა და ჟორდანია ერთხელაც აირჩიეს პრეზიდენტად.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს უკვე ალენ ჟირესი წვრთნიდა და ციკლის პირველი შეხვედრა თურქეთთან ჰქონდა. მასპინძლები ფათიჰ თეკეს თავურით დაწინაურდნენ, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს, რაშიც ლომის წილი ჩვენი გუნდის მეკარემ აკაკი დევაძემ დაიდო. ჰასან შაშის გაძევებამ კი ჟირესის გუნდს ნიათი და ანგარიშის გათანაბრების შანსი შემატა. ლევან ცქიტიშვილის ჩაწოდებულ ჯარიმას მალხაზ ასათიანის უზადო თავური მოჰყვა — ასათიანმა ნაკრებში მეორე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა თავურით, პირველი რუსეთთან იყო...

იმავ შესარჩევის თბილისური მატჩი კი სულ სხვანაირი გამოდგა — შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრებს თამაში თამაშამდე ჰქონდა წაგებული. ამ მატჩამდე ორი დღით ადრე საქართველომ შინ საბერძნეთთან 1:3 წააგო, რამაც გუნდს კონცენტრაცია დააკარგვინა მომდევნო მატჩისთვის, ჟირესს კი მხნეობა — მუსიეს სახეზე ფითრი ედო და იმდენად იყო დათრგუნული, შოთა არველაძე საერთოდ დაითხოვა თურქეთთან მატჩის წინ — საბერძნეთთან არველაძის შეცდომას ბერძნების გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა და გულშემატკივრებმა შოთას ქოქოლა დააყარეს, ჰოდა, ჟორესმაც არ დაახანა... ჟირესი ვერც მიშელ პლატინიმ გაამხნევა, ვინც მაშინ თბილისში იყო ჩამოსული მეგობრული ვიზიტით. აკაკი დევაძე კი ილდირაი ბაშთურქთან და ალეკო ამისულაშვილთან შეჯახებისას ისე დაშავდა, ნაკრებში აღარ უთამაშია.

„წაგება მხოლოდ ჩემი ბრალი არ იყო“ — განაცხადა ნამატჩევს ჟირესმა...

**დავით თავართქილაძე**



ქართველთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი თურქებს მალხაზ ასათიანმა გაუტანა

## ქართულ-თურქული ხაბარი

ამხანაგური მატჩი.
ტრაპიზონი. 21 აგვისტო. 2002 წელი. 30 000 მაყურებელი

### თურქეთი 3:0 საქართველო

1:0 არიფი (9), 2:0 ჯიჰანი (51),
3:0 ნიჰათი (71)

**თურქეთი:** ომერი (ზაფერი 46), ალფაი (უმით ოზატი 74), ბიულენთი (ჯიჰანი 46), თუგაი (ტაიფური 74), დავალა უმითი (ფათიჰი 62), ჰაქან უნსალი, ოკანი, ბაშთურქი (ჰასან შაში 62), ემრე (ნიჰათი 46), სერჰათი, არიფი

მწვრთნელი: შენოლ გიუნეში

**საქართველო:** ლომაია, შაშიაშვილი, საჯაია (შეყილაძე 73), კობიაშვილი, ნემსაძე, გახოკიძე (კალაძე 46), ცქიტიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე (ჯიქია 46), დემეტრაძე (ამისულაშვილი 80), შ. არველაძე

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
ტრაპიზონი. 4 სექტემბერი. 2004 წელი. 20 000 მაყურებელი

### თურქეთი 1:1 საქართველო

1:0 ფათიჰ თეკე (49), 1:1 ასათიანი (85)

**თურქეთი:** რუშთუ, სერქანი, დენიზ ბარისი, ტორამანი, ემრე, დავალა უმითი, ოკანი, თუნჯაი (გიოქდენიზ კარადენიზი 73), ჰაქან შუქური (ნიჰათი 80), ფათიჰ თეკე (ჰუსეინ ჩიმშირი 73), ჰასან შაში

სათადარიგონი: ვოლქანი; ონდერი, დურსუნი, სერჰატ აკინი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

**საქართველო:** დევაძე, მჟავანაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (კვარაცხელია 90), კალაძე, კვირკველია, ცქიტიშვილი, რეხვიაშვილი (ასათიანი 80), დემეტრაძე (ჯაკობია 75), ჯამარაული, არველაძე

სათადარიგონი: გვარამაძე; კანკავა, სალუქვაძე, ბურდული

მწვრთნელი: ალენ ჟირესი

გაფრთხილება: კვირკველია (21), ჰაქან შუქური (27), ჰასან შაში (32), ჰასან შაში (59), კალაძე (67), ნიჰათი (81), ხიზანეიშვილი (82), ოკანი (83)

გაძევება: ჰასან შაში (59)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.
თბილისი. 30 მარტი. 2005 წელი. 20 000 მაყურებელი

### საქართველო 2:5 თურქეთი

0:1 თოლგა (12), 1:1 ამისულაშვილი (13), 1:2, 1:3 ფათიჰ თეკე (19, 36), 2:3 იაშვილი (40), 2:4 აჲჩი (73), 2:5 თუნჯაი შანლი (90)

**საქართველო:** დევაძე (ლომაია 21), ხიზანეიშვილი (სალუქვაძე 19), მჟავანაძე, კალაძე, ამისულაშვილი, ცქიტიშვილი (ბურდული 76), ასათიანი, გოგუა, კობიაშვილი, იაშვილი, აშვეთია

სათადარიგონი: დემეტრაძე, ჯაკობია, შაშიაშვილი, კვირკველია

მწვრთნელი: ალენ ჟირესი

**თურქეთი:** რუშთუ, თოლგა, ტორამანი, ემრე, დავალა უმითი, ფათიჰ თეკე (ჰალილ ალტინტოპი 89), ბაშთურქი (ჰუსეინ ჩიმშირი 46), ჰამიტ ალტინტოპი, აჲჩი, გიოქდენიზ კარადენიზი, ნეჯატი ატეში (თუნჯაი შანლი 64)

სათადარიგონი: ომერი; ბიულენთი, სერქანი, აიჰან აქმანი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

გაფრთხილება: გოგუა (11), აჲჩი (28), თოლგა (30), რუშთუ (40), გოგუა (83)

გაძევება: გოგუა (83)

# ახალგაზრდულ ნაკრებს ემოცია მოემატა

## პეტარ სერგტი: დაზვერვიდან მწვრთნელობაში

**გერმანელი** გერმანელია, ხორვატი ხორვატი — პეტარ სერგტი ძალიან ემოციური კაცი ყოფილა. გუშინ ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე ყველა ბურთის მიღებაზე ხმამაღლა გასძახოდა ფეხბურთელებს, მთლიანად თამაშში იყო ჩართული.

დიახ, პეტარ სერგტი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა — მან რალფ მინგე შეცვალა. ხორვატი საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში აქამდე მეტოქეთა მზვერავად მუშაობდა, გუშინწინ კი ახალ საქმეს შეუდგა.

ჯერ ვარჯიში მიმოვიხილოთ. სერგტმა და ჰაინც ტოპმიოლერმა „მიხეილ მესხზე“ ორმხრივი თამაში გააჩაღებინეს ბიჭებს. ორი გუნდიდან ერთი უეჭველად სადღეისო ძირითადი შემადგენლობისა იყო. ასე რომ, თუ რამ არ შეიცვალა, სერგტი თურქებს ასეთ თერთმეტეულს გაუყვანს: კარში რევაზ თევდორაძე; დაცვაში: მარჯვნიდან მარცხნივ — დავით მჭედლიშვილი, მათე ღვინიანიძე, აკაკი ხუბუტია, გიორგი ფოფხაძე; ნახევარდაცვის ცენტრში — მირზა ბჟალავა და შოთა გრიგალაშვილი; ფლანგებზე — მარჯვნივ ალექსი ბენაშვილი, მარცხნივ გიორგი ნავალოვსკი; თავდამსხმაში — გიორგი ჭელიძე და ბექა ჟღენტი.

„ამერის“ ფორვარდმა რატი წინამძღვრიშვილმა ვერც გუშინწინ ივარჯიშა და ვერც გუშინ — ძნელად სავარაუდოა, მან თურქებთან ითამაშოს. საეჭვოა თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველ სანდრო კობახიძის თამაშიც, რომელმაც გუშინ ვარჯიში ჩვეულებრივ დაიწყო, მაგრამ მხარი ასტკივდა.

„ვნახოთ, შევძლებ თუ არა ხვალ მინდორზე გასვლას. მხარი ადრეც მტკიოდა და ახლა გამიმიზეზდა. მძიმე ტრავმა არაა, რამდენიმე დღე თუ გამიცდება“ — გვითხრა კობახიძემ.

— თავადაც დაინახავთ, რომ გუნდში კარგი განწყობაა. თურქებთან ძნელი მატჩი გვექნება და თანაც გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, რომელიმე ფეხბურთელმა ხვალ ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლოს — გვითხრა პეტარ სერგტიმ ვარჯიშის შემდეგ. რა თქმა უნდა, მას სხვაც ვკითხეთ...

— **შეგვიძლია, უკვე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი გიწოდოთ?**

— ამაზე ნოდარ ახალკაცი დღეს გესაუბრებათ. ასე რომ, ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— **დღევანდელი ორმხრივი თამაშის მიხედვით, ძირითადი თერთმეტეული უკვე შეგულებული გყავთ...**

— მთლად ასეც არაა, თუმცა მათი უმეტესობა, რა თქმა უნდა, თურქეთთან ძირითადში იქნება.

— **შესაძლოა, თქვენი გუნდის რომელიმე წევრმა ან წევრებმა ხვალისთვის ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლოს?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ამპლუის მოთამაშეები დააკლდება კლაუს ტოპმიოლერს. შესაძლოა, კალაძემ ვერ ითამაშოს, ასევე საეჭვოა ცქიტიშვილისა და სირაძის თამაში. ვნახოთ, როგორც ეროვნულ ნაკრებს დასჭირდება, ისე იქნება. ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სახე პირველი ნაკრებია, ჩვენი მიზანი კი — მათთვის ფეხბურთელების მიწოდება.

— **კობახიძისა და წინამძღვრიშვილის თამაში გამორიცხულია?**

— ბოლომდე გამორიცხული ჯერ არაა.

— **მაინც ამხანაგური მატჩია და შეგიძლიათ, გვითხრათ, რა ტაქტიკას აირჩევთ თურქებთან?**

— ჩვენ გამართული თამაში უნდა ვაჩვენოთ, კონკრეტულად ერთი ტაქტიკური სქემა დოგმა არაა.

— **ახალგაზრდული ნაკრების სათამაშო სქემა ეროვნულის იდენტური იქნება?**

— ჩემი აზრით, ეს არაა აუცილებელი.

— **ფიქრობთ, რომ სათურქეთოდ ამ ეტაპზე საუკეთესო შემადგენლობა შეარჩიეთ?**

— არა. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ჩემპიონატში კიდევ არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ახალგაზრდულში კარგად თამაში შეუძლიათ. სადღეისოდ ეს შემადგენლობა შევარჩიეთ, რადგან ამ ბიჭებს უკვე აქვთ ახალგაზრდულში თამაშის გამოცდილება, ძიება კი გაგრძელდება.

— **თურქეთთან თამაშის შემდეგ საქართველოში დარჩებით?**

— დიახ.

**ილია ნანობაშვილი**

სამწვრთნელო განათლება:
1993 — B ლიცენზია
1995 — A ლიცენზია
2001 — უეფას ლიცენზირებული მწვრთნელი
სამწვრთნელო კარიერა:
1992-93 — „ვოლდჰოფი“ (ახ.)
1996-97 — „ბოხუმი“ (ახ.)
1997-00 — „დიუსბურგი“ (მთავარი გუნდის სამწვრთნელო შტაბი)
2000-01 — „ვალდჰოფი“ (მთავარი გუნდის თავკაცის თანაშემწე)
2001-03 — „ლეობენი“ (მთავარი მწვრთნელი)
2003 — „იოსკო რიდი“ (მთავარი მწვრთნელი)
2003-04 — „ვინერ შპორტკლუბი“ (მთავარი მწვრთნელი, სპორტული დირექტორი)


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგიტა გოგუამ ნალჩიკი გამორიცხა

**ბოლომდე** გარკვეული არ არის, სად ითამაშებს სულ მცირე ექვსი თვე საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგიტა გოგუა. გოგუას შოტლანდიური ტრანსფერი არ შედგა, მაგრამ „ჰართსი“ იმედოვნებს, რომ ქართველი ფეხბურთელს ზაფხულიდან დაიმატებს, მანამდე კი...

თითქმის გადაწყვეტილია, რომ გოგუა თამაშს ტომსკის „ტომში“ გააგრძელებს, მაგრამ გუშინ ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე გამოჩნდა ინფორმაცია, შესაძლოა, გოგუა კვლავ ნალჩიკის „სპარტაკში“ დაბრუნდესო. ვებგვერდი ირწმუნება, რომ ინიციატივა თავად ფეხბურთელისგან მოდისო.

ვებგვერდი „სპარტაკის“ გენერალური დირექტორის ვლადიმირ ბალოვის კომენტარსაც იმოწმებს: „გოგიტა გოგუას შეუძლია, ჩვენი გუნდი გააძლიეროს, მაგრამ საბოლოო სიტყვა მთავარ მწვრთნელს ეკუთვნის. იური კრასნოჟანმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ აიყვანოს გუნდში. სხვა დანარჩენი პრობლემა არ იქნება.“ გუშინ ნაკრების ვარჯიშის შემდეგ ამ ინფორმაციის გადამოწმება თავად გოგუასთან ვცადეთ, რომელმაც ნალჩიკში გადასვლა გამორიცხა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დინამომ ანთალია შმტისუთი დაასრულა

**სეზონის** განახლებამდე მეორე ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ყაზახურ „ეტისუს“ 2:1 მოუგო. „ეტისუმ“ „დინამომდე“ ოთხი მატჩი ითამაშა და გუშინდლამდე დაუმარცხებელი იყო.

პირველი გოლი მე-9 წუთზე ლევან აკობიამ გაიტანა საჯარიმო დარტყმით, 42-ე წუთზე კი ნედ ზელიჩმა დაჰკრა თავი ნაკუთხურალ ბურთს და 2:0. ყაზახებმა მეორე ტაიმში გაქვითეს ერთი გოლი.

**„დინამო“:** ლორია, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, აკობია, ოდიკაძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ხუციშვილი, ფეიქრიშვილი, სპასოევიჩი.

*შეცვლაზე შევიდნენ: ლ. ნოზაძე, ზ. ჯანაშია და ჩირიკაშვილი.*

„დინამო“ თბილისში ხვალ დაბრუნდება.

# ამერმა შარშანდელი გაიხსენა

„ამერმა“ თურქულ შეკრებაზე ბოლოსწინა მატჩი ჩაატარა, რომელიც 1:1 დასრულდა — მეტოქე უკრაინული „ვორსკლა“ იყო.

„ამერი“ და „ვორსკლა“ შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს და ის თამაშიც ფრედ, 2:2 დამთავრდა. „ამერს“ გუშინდელ მატჩში ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ოთხი ფეხბურთელი აკლდა, სასტარტო შემადგენლობაში კი გასინჯვაზე გუშინ ჩამოსულმა ხორვატმა თავდამსხმელმა ფრანე პეტრიჩევიჩმა ითამაშა. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი პოლტაველებსაც არ ჰყავდათ.

ტემპი მაღალი იყო, ორთაბრძოლები — ბლომად, თუმცა მომენტები ბევრი არ ყოფილა, რამდენიმე კარგად დაწყებულ კომბინაციას ზუსტი დასრულება აკლდა.

ანგარიში უკრაინელებმა გახსნეს, 65-ე წუთზე იარმაშმა ჯარიმა დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და კარში შეგორდა.

ამის მერე „ამერმა“ რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა, საპასუხო გოლი კი მატჩის ბოლო წუთზე გავიდა — გიორგი ნიკოლაიშვილის ჩაწოდებულზე ლადო კაკაშვილის დაარტყმული მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ იური გაბისკირიას დამატებულს ვერაფერი მოუხერხა.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქვაჩახია, დავითნიძე, კაკაშვილი, დიდავა, ჩიკვილაძე (ნიკოლაიშვილი 74), ბოლქვაძე (გაბისკირია 78), დობროვოლსკი (მესხი 68), დოლიძე, ჯელაძე, დავითაშვილი, პეტრიჩევიჩი (ჩიმაკაძე 60)

მომდევნო მატჩს „ამერი“ თბილისში გამომგზავრების წინა დღეს, 9 თებერვალს ჩაატარებს ლიხტენშტაინის „ვადუცთან“.

**გიორგი დარჯანია**
*ბელეკიდან*

# კარლ ცაისი ჩვენებურებზე

**იენის** „კარლ ცაისში“ სადებიუტო მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიას ქათინაურები არ დაჰკლებია. „ლომაია ნამდვილად კარგი შენაძენია“ — ეს სიტყვები იენელთა მთავარ მწვრთნელ ჰაიკო ვებერს ეკუთვნის, ხოლო თავდამსხმელმა სერხან გიუვენიშიკმა თქვა, მისი მშვიდი თამაში თანაგუნდელებს საქმეს უადვილებდაო.

„კიკერის“ შეფასებით, ლომაიას არცთუ მაღალი ქულა — 4-იანი ერგო, მაგრამ თავად იენელთა ვებგვერდი გაცილებით უკეთ აფასებს ლომაიას თამაშს. რაც შეეხება მიხეილ აშვეთიას, იენელთა თქმით, მოწყვეტილი იყო გუნდს, ხშირად მარტოს უწევდა მეტოქის ნახევარზე ყოფნა და მისი პასიურობა შეუთამაშებლობის ბრალიაო.



გიორგი ლომაია

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დემიანენკო ალადაშვილისკენ შემობრუნდა

**კიევის** „დინამოს“ 29 ფეხბურთელი მესამე შეკრების ჩასატარებლად ისრაელში გაემგზავრა. კიეველთა სამი ქართველიდან წმინდა მიწაზე მხოლოდ კახა ალადაშვილი ჩავიდა. „დინამოს“ მწვრთნელ ანატოლი დემიანენკოს განცხადებით, ალადაშვილმა მაკაროვის თასზე კარგად ითამაშა და ისრაელში შანსს მისცემს.

ისრაელში წამსვლელთა სიაში ვერ მოხვდა დავით იმედაშვილი. ოთარ მარცვალაძემ კი ყავარჯნები ახლახან გადააგდო და მისი ისრაელში არწაყვანა გასაგებია — ქართველი თავდამსხმელი კიევში რჩება და ინდივიდუალური პროგრამით მოემზადება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სპარინგი სერიოზულ მეტოქესთან

## ზესტაფონს იღბალმაც უმტყუნა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — რუსეთის ორგზის ჩემპიონ „ლოკომოტივთან“ 0:2 დამარცხდა.

რუსებმა თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშეს, „ზესტაფონს“ კი ეროვნულ და ახალგაზარდულ ნაკრებებში გამოძახებული სამი ფეხბურთელი აკლდა — გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე და ალექსი ბენაშვილი.

„ზესტაფონის“ პრესსამსაუხრის ცნობით, თემურ მახარაძის გუნდს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა — თავის გამოჩენა შეეძლოთ ზურაბ იონანიძეს, გიორგი ჭელიძეს და ედიკ საჯაიას. მოსკოველთაგან კი ორივე გოლი ვლადიმირ მამინოვმა გაიტანა მეორე ტაიმში.

**„ზესტაფონი“:** ჯალაღონია, სანტოსი, რ. ონიანი, ჩხეტიანი, ლეანდრო (ბ. ნოზაძე 46), ს. თოდუა, საჯაია, ნ. კვასხვაძე (ფიფია 46), იონანიძე (ხიდეშელი 82), გ. ჭელიძე (ჯანელიძე 67), ვიეირა.

მომდევნო ტესტ-მატჩს „ზესტაფონი“ 9 თებერვალს გამართავს ერთ-ერთ კორეულ გუნდთან.

**ნიკა ჯორჯაძე**

# რა ამოუშვა რეალს: ფრთები თუ ულვაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ორ ძველ რეალელში რეალური ბერნდ შუსტერია

**მადრიდის „რეალის“ პრესსამსახურის უფროსმა მიგელ ანხელ აროიომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სამეფო გუნდის უფროსობა ფაბიო კაპელოს სრულ ნდობას უცხადებს...**



„ჩვენი აზრით, მხოლოდ კაპელოს შეუძლია „რეალის“ კრიზისიდან გამოყვანა“ — აღნიშნა სენიორ აროიომ.

კასტილიური გრანდის თავკაცებმა საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ წაგებათა მიუხედავად, „რეალის“ საჭესთან სეზონის ბოლომდე მაინც კაპელო დარჩება. კრებას იტალიელი სპეციალისტი არ დასწრებია.

მიხელ ანხელ აროიომ საზოგადოებას შეახსენა, რომ პრეზიდენტ რამონ კალდერონს კაპელოსა და სპორტული დირექტორის, პრედრაგ მიატოვიჩის პროექტების ურყევად სჯერა და იტალიელთან თანამშრომლობის გაწყვეტას არ აპირებს...

„მარკეტინგისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მხრივ „რეალში“ ყველაფერი მშვენივრადაა, დასახული გვაქვს კონკრეტული მიზნები და ვიცით, რომ ამას ბოლომდე წარმატებით მივიყვანთ. აი, სპორტული მხარე კი მართლაც გვაღელვებს. „რეალის“ მმართველმა საბჭომ კლუბში მოსვლისთანავე ახალი პროექტის განხორციელება გადაწყვიტა, რაც შემადგენლობის განახლებას და მტკიცე დისციპლინის დამყარებას ისახავდა მიზნად. მაშინვე ვიფიქრეთ, რომ ამ საქმეს ყველაზე უკეთ თავს ფაბიო კაპელო გაართმევდა. პრეზიდენტ კალდერონს მის მოწვევაზე ბევრი არ უყოყმანია. ამ მწვრთნელს ბრწყინვალე სპორტული ბიოგრაფია აქვს და მადრიდსაც შესანიშნავად იცნობს“ — თქვა სამეფო თეთრების წარმომადგენელმა.

დაახლოებით მსგავსი რამ თქვა პრესკონფერენციაზე „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმაც: „უფრო მეტი დრო და მოთმინება გვჭირდება. ასეთი დონის კლუბში ცვლილებების განხორციელება ადვილი არავის ეგონოს. ყველაფერი თანდათან უნდა მოხდეს და ამ ეტაპზე სამწვრთნელო ცვლილებები კარგს არაფერს მოგვიტანს. ჩვენ ახლა მადრიდელ ინჩასთა მხარდაჭერა გვჭირდება. წარმოიდგინეთ, როგორ გაგვიადვილდება საქმე, როცა გავიგებთ, რომ ხალხი ჩვენ მხარესაა“.

მიატოვიჩმა დევიდ ბექემის ტრიბუნაზე უქმად ჯდომის თაობაზეც ილაპარაკა და ისიც თქვა, რონალდო „რეალიდან“ „მილანში“ არავის გაუგდია, „კიჭას“ იტალიაში გადაბარგება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდაო...

„ბექემი არ თამაშობს, მაგრამ მის ნაცვლად მოედანზე ახალგაზრდა ფეხბურთელები გადიან, რომელთაც „რეალის“ ძირითადში ადგილის დამკვიდრება სურთ. ჩვენ მათ თავის გამოჩენის შანსი უნდა მივცეთ... რაც შეეხება რონალდოს, იგი მადრიდიდან არავის გაუგდია, თავისი ნებით წავიდა“.

ისე ჩანს, კაპელოს მადრიდიდან ამ სეზონის ბოლომდე არავინ დაითხოვს. ოღონდ სამომავალსეზონოდ მისი „ბერნაბეუზე“ დარჩენა კი არის ძალიან საეჭვო.

„ასის“ ცნობით, კალდერონმა, მიატოვიჩმა და მისმა თანაშემწე ფრანკო ბალდინიმ ხსენებულ კრებაზე დაასკვნეს, შუა სეზონში სამწვრთნელო ცვლილებები დაგვღუპავსო და იტალიელიც ზაფხულამდე ხელშეუხებელია. მერე კი კალდერონი „რეალს“ გერმანელ ბერნდ შუსტერს ჩააბარებს, ვინც კლუბთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

შუსტერს წარდგენა ნაკლებად სჭირდება, მაგრამ სჯობს, მაინც გადავავლოთ თვალი სახელგანთქმული გერმანელისა და ძველი მადრიდელის ბიოგრაფიას...

მადრიდის „ხეტაფეს“ ახლანდელი თავკაცი 1959 წლის 22 დეკემბერს გერმანულ აუგსბურგში დაიბადა. თამაშიც მშობლიურ „აუგსბურგში“ დაიწყო, საიდანაც „კიოლნში“ გადავიდა. მერე კი იყო დიდი საფეხბურთო ელიტა — „ბარსელონა“, მადრიდის „რეალი“ და მადრიდის „ატლეტიკო“ — „ბერნარდომ“ მთელი ესპანეთი შეაზანზარა.

შუსტერმა ფეხბურთელის კარიერა „ლევერკუზენში“ დაასრულა, თუმცა მოგვიანებით ცოტა ხანი ამერიკულ „სან ხოსე კლეშში“ და მექსიკურ „პუმასში“ „გაერთო“.

ფეხბურთელობისას შუსტერი ესპანეთის 3-გზის ჩემპიონი, 6-გზის სამეფო თასის, 2-ჯერ ესპანეთის სუპერთასის და 2-ჯერ ლიგის თასის მფლობელი გახდა. „ბარსელონასთან“ ერთად 1982 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო, ხოლო გერმანიის ნაკრებში 1980 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.

მწვრთნელობა „კიოლნში“ დაიწყო, მერე იყო ესპანური „ხერესი“, უკრაინული „შახტარი“ და ესპანური „ლევანტე“. დღეს შუსტერი „ხეტაფეს“ თავკაცია...

„ასს“ თუ ვენდობით, „რეალს“ ანგელოზის (შუსტერის მეტსახელია) ფრთები არ ასცდება, მანამდე კი „სანტიაგო ბერნაბეუს“ ისევ დონ ფაბიო უპატრონებს.

და ძველი კეთილი ულვაშა ვისენტე დელ ბოსკე?!

ამბობენ, სენიორ კალდერონი სენიორ ვისენტეს დიდ პატივს სცემს, ოღონდ მადრიდის გადამრჩენელად მაინც ბერნდ შუსტერი მიაჩნიაო, თუმცა საინტერესოა, რას ფიქრობს „რეალის“ დღევანდელ ყოფაზე ამ გუნდის ყოფილი და სახელოვანი მწვრთნელი — ვისენტე დელ ბოსკეს „მარკა“ გაესაუბრა...

„ჩემი აზრით, რონალდოს და ბექემის გუნდიდან ჩამოცილება მომგებიანი გადაწყვეტილება არ იყო. ეს ამტკიცებს, რომ „რეალის“ კრიზისი შიგნით წარმოიშვა და გარედან არ არის შემოტანილი. სამწუხაროა, რომ კლუბიდან დიდი ფეხბურთელების უცერემონიოდ დათხოვნის ტრადიცია გრძელდება“ — აღნიშნა ესპანელმა მწვრთნელმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ადრე თუ გვიან „რეალის“ მწვრთნელობას თუ დაუბრუნდებითო, ულვაშმა უპასუხა: „არ ვიცი. ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის შეიძლება, ეს მოხდეს. „რეალის“ ძველ მმართველ საბჭოსთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა, ბოლომდე ვერც ახალი დირექტორატი მიგებს. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დღესაც არის ხალხი, რომელთაც ჩემი სახელის გაგონება არ სურთ... ფაბიო კაპელო შესანიშნავი მწვრთნელია, იგი თავის საქმეს კარგად აკეთებს. აი, მომავალში რა მოხდება, ვერაფერს გეტყვით...“

**ლადო ხომერიკი**

# ძველი შუღლი

## ლეო მესი ჩხუბმა სასამართლოში მიიყვანა



„ბარსელონას“ ვარსკვლავ ლეო მესის ერთ-ერთი არგენტინული ბარის მეპატრონე უჩივის. მესი როსარიოში მდებარე ბარში ორი კვირის წინ მეგობრებთან ერთად შესულა და იქ დახვედრილ ახალგაზრდებთან უჩხუბია.

ეს საქმე უკვე სასამართლოშია.

არგენტინული „ლა კაპიტალის“ ცნობით, ინციდენტი 19 იანვარს მოხდა, როცა მესი სამშობლოში სამკურნალოდ იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ ლეომ შარშან 11 ნოემბერს „სარაგოსასთან“ მუხლი მძიმედ დაიშავა, რის გამოც ფეხბურთს რამდენიმე თვით ჩამოშორდა.

არგენტინელმა ჟურნალისტებმა სან მარტინის ქუჩაზე დარბეული ბარის პატრონი უმალ მოიძიეს და მანაც მესის ამბავი მთელ ქვეყანას მოსდო — ლეო ბარში ძმაბიჭებთან ერთად შევიდა, იქ კი „როსარიო სენტრალის“ ფანებს გადააწყდა და კაი დაკა-დაკაც აიწია.

გავიხსენოთ, რომ მესი „ბარსელონაში“ გადასვლამდე არგენტინულ „ნიუელს ოლდ ბოისის“ ბავშვთა გუნდში თამაშობდა, „ნიუელსი“ კი „როსარიოს“ მოსისხლე მტერია.

„ჭურჭელი და სკამები დამილეწეს. ერთმანეთს გვარიანად ურტყეს, თუმცა, საბედნიეროდ, არავინ დაჭრილა. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ“ — დაიმუქრა ბარის პატრონი „ლა კაპიტალთან“ საუბრისას.

**ლადო ხომერიკი**


# ლევონ თრეველი

**გთავაზობთ უნიკალური შანსს, დაესწროთ შოტლანდია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს გლაზგოში 24 მარტს.**

**იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე.**

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №20
ტელეფონი: 250010, 250060, 250199, 8(99)537845

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ვაკეთოთ? იტალიელთა უცნაური სვლა სტადიონებისკენ



AFP



## სერია A უმაყურებლებოდ... გაუფრთხილებელი დაჭერები... და კიდევ ათასი რამ, რაზეც დღეს იტალიის მთავრობა იმსჯელებს

### ვითამაშოთ?

*იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კომისიონერი ლუკა პანკალი* დღეს გადაწყვეტს, გააგრძელოს თუ არა ამ შაბათ-კვირას ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა დონის ჩემპიონატები.

მოგეხსენებათ, პანკალიმ გასულ პარასკევს, სიცილიაზე, სერია A-ს გუნდების, „კატანიასა" და „პალერმოს" დაპირისპირების შემდეგ ამტყდარი რბევისა და ამ რბევის დროს პოლიციის ინსპექტორ ფილიპო რაჩიტის მკვლელობის გამო იტალიაში ბურთის გორება გაურკვეველი ვადით შეაჩერა, თუმცა ბოლო მონაცემებით, უახლოეს უქმეებზე რამდენიმე პირველობის აღდგენას მაინც აპირებს. მოხვდება თუ არა ამ „რამდენიმე პირველობაში" სერია A-ც ამწუთას უცნობია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველაფერი დღეს, იტალიის რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო სხდომაზე გადაწყდება.

„ტექნიკური თვალსაზრისით, ამ უქმეებზე ჩემპიონატების განახლების საშუალება გვაქვს — განაცხადა პანკალიმ და ტექნიკურ საკითხებში სტადიონების მზადყოფნის ახალი კრიტერიუმები იგულისხმა — იმედი მაქვს, რომ ჩვენს ახალ წინადადებებს მიიღებენ და დაეთანხმებიან. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გაინაწილოს. პარასკევს, როდესაც ჩემპიონატი შევაჩერე, ვთქვი, რომ მისი განახლება მანამ, სანამ უსაფრთხოების საკითხები კარგად არ გაირკვევა და მოგვარდება, არ შეიძლება-მეთქი და მართალიც გახლდით. დღეს, როდესაც ინსპექტორ რაჩიტის დაკრძალვას დავესწარი და მისი მეუღლის სიტყვები მოვისმინე, ჩემი ნათქვამის სიმართლეში კიდევ უფრო დავწმუნდი. ეს ტრაგედია უნდა გარდავქმნათ იმ საწყის წერტილად, საიდანაც პრობლემის მოგვარების უძნელესი გზა დაიწყება. ჩვენ ყველამ ვნახეთ, რა რეაქცია გამოიწვია მომხდარმა და ეს რეაქცია გვარწმუნებს, რომ პარასკევის გადაწყვეტილება სწორი იყო. ყველამ, ვინც საფეხბურთო ბიზნესშია ჩაბმული, იტალიური კალჩოს მომავლისთვის უნდა ითანამშრომლოს და უსაფრთხოების ახალ მოთხოვნებს დაეთანხმოს".

### სად ვითამაშოთ?

სად და, დახურულ კარს მიღმა. ანუ ის კლუბები, რომელთაც სტადიონები არ უვარგათ, უმაყურებლოდ ითამაშებენ. დავაზუსტოთ: სტადიონი ვარგა თუ არა, უსაფრთხოების თვალსაზრისით გაირჩევა და არა იმის მიხედვით, არის თუ არა ის კომფორტული. ამის შესახებ მკაცრად და საფუძვლიანად ილაპარაკა ქვეყნის *შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯულიანო ამატომ.* მან ბრძანა:

„ჩვენ მხოლოდ იმ სტადიონებზე დავრთავთ თამაშის ნებას, რომლებიც უსაფრთხოების მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფანები ტრიბუნებზე ვერ მოხვდებიან. ისეთ ნაგებობებში, როგორიც, მაგალითად, კატანიაშია, კაციშვილი ვერ შეადგამს ფეხს. ამის გარანტიას მე გაძლევთ. ის თამაში, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, საერთოდ არ უნდა ჩატარებულიყო".

სადღეისოდ, ვითარება ასეთია: სერია A-ში მხოლოდ ხუთი სტადიონი აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, ხოლო კიდევ ათს მატჩების მასპინძლობის უფლებას იმ შემთხვევაში მისცემენ, თუ იქ სტუმარი გუნდების ქომაგები არ ჩავლენ.

ბუნებრივია, დასახვეწია დანარჩენი პუნქტებიც, რომელთა შესახებაც, სავარაუდოდ, დღეს, მთავრობის ზემოხსენებულ სხდომაზე იქნება ლაპარაკი, თუმცა ზოგი პროექტის შესახებ ჩვენ მაინც შეგვიძლია მოგახსენოთ. მაგალითად, მინისტრ ამატოს აზრით, სტუმარი გუნდების ქომაგებს ბილეთები ჯგუფურად არ უნდა მიჰყიდონ. გარდა ამისა, პოლიციას უნდა ჰქონდეს უფლება, საფეხბურთო ხულიგნობიდან 48 საათის განმავლობაში მავანნი ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე დაიჭიროს. სტადიონებიდან მოკვეთით დაისაჯონ 18 წელზე ახალგაზრდა „ცხელთავიანებიც".

*სპორტის მინისტრმა ჯოვანა მელანდრიმ* თქვა, რომ საფეხბურთო კლუბებს თავიანთ „ულტრასებთან" ურთიერთობა უნდა აეკრძალოთ.

### ეჰ, მატარეზე, მატარეზე...

„ლეგა კალჩოს", ანუ *იტალიის საფეხბურთო ლიგის შეფმა ანტონიო მატარეზემ,* რომელსაც 90-იან წლებში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტადაც უმუშავია და ზოგის ვარაუდით, წარმატებულადაც, ხმაური გამოიწვია. რა თქვა ასეთი ამ ჭიპმოჭრილმა ძიამ? „ლა რეპუბლიკასთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ პოლიციელის სიკვდილის მიუხედავად, თამაშები დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს, რასაც დაამატა, რომ სიკვდილი და იტალიური ფეხბურთი განუყრელი მცნებებიაო.

ეს, „ქუინის" ენით რომ ვთქვათ (მთელი მსოფლიოც სწორედ ასე ამბობს), show must go on, მატარეზეს მწარედ დაუბრუნდა. საყვედური მთავრობისგან, ოლიმპიური კომიტეტისგან, ფეხბურთის ფედერაციისგან, ხალხისგან — აი, რა მოიმკა დიდმოხელემ. დალოცვილს, ისე, „ფასონისთვის" მაინც შეეკრა კოპები და ეთქვა, რომ ადამიანის სიკვდილი ძალიან ცუდია, მაგრამ ვაი, რომ დიპლომატიურობა ვერ გამოიჩინა და ქართულად რომ ვთარგმნოთ, „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო", შემოსძახა.

მეორე დღეს, რასაკვირველია, იტალიურ გაზეთებში გამოჩნდა ანტონიო მატარეზეს განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეს სიტყვები მას არ ეკუთვნის, ხოლო მისი ნათქვამი დაამახინჯეს...

„ეს განცხადება მე არ მეკუთვნის. სიტყვები, რომელთაც მაბრალებენ, თავადაც გაზეთებში წავიკითხე და მყისვე მივხვდი, რამხელა უხერხულობას და აღშფოთებას გამოიწვევდა ასეთი ფრაზა. მერწმუნეთ, ეს მართლა მე რომ მეთქვა, ქვეყანაში გაცილებით მწვავე რეაქცია იქნებოდა, მაგრამ ხალხს უკვე მოსმენილი ჰქონდა ჩემი გამოსვლა „რადიო კაპიტალში" და კარგად მოეხსენებოდა, რომ მე მხოლოდ იტალიური საფეხბურთო ვანდალიზმის მსხვერპლიანობას გავუსვი ხაზი. ბუნებრივია, ერთი წამით არ მიგულისხმია, რომ ამას უნდა შევეგუოთ. პირიქით, საფეხბურთო კლუბები ხულიგნობას როგორც სტადიონზე, ასევე მის გარეთ უნდა შეებრძოლონ" — თქვა მატარეზემ.

### მორატი ალიანსს ემხრობა

*„ინტერის" პრეზიდენტმა, იტალიის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ფიგურამ და უმდიდრესმა ბიზნესმენმა* ***მასიმო მორატიმ*** განაცხადა, რომ ქვეყანას მდგომარეობიდან მხოლოდ მთავრობისა და საფეხბურთო შეფების ალიანსი თუ გამოიყვანს...

„ვფიქრობ, ჩვენ, ინგლისელების მსგავსად, პრევენციული გეგმა უნდა შევიმუშაოთ და ამ საქმეში მთავრობა და საფეხბურთო ხელისუფლება ერთად უნდა ჩაერთოს — მიაჩნია სერია A-ს ლიდერის პატრონს — ის, რომ ჩვენ მთავრობასთან ერთად ვიმუშავებთ, ძლიერი სიგნალი იქნება. შეცდომა ყველას გვაქვს დაშვებული, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ მდგომარეობის გამოსწორებას უნდა ვეცადოთ. მწამს, პოლიტიკოსები გვიშველიან, თორემ ფეხბურთი ძალადობის სარბიელად იქცა მაშინ, როდესაც სულ სხვა რამისთვის არის ჩაფიქრებული და მოწოდებული".

### კოზმიური მოსაზრება

„უფლება არ გვაქვს, იგივე შეცდომა დავუშვათ, ზაფხულზე კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ რომ დავუშვით — ეს სიტყვები კი *„უდინეზეს" ყოფილ მწვრთნელს და ფრიად კოლორიტულ მოღვაწეს,* ***სერსე კოზმის*** ეკუთვნის — რაც მოხდა, მეტისმეტად სერიოზულია და, ვფიქრობ, ჩემპიონატი მხოლოდ მას მერე უნდა განახლდეს, რაც მივხვდებით, კერძოდ რა უნდა გავაკეთოთ მომავალში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი, რაც ახლა ხდება, სრული უაზრობა იქნება".

ფაქტია, იტალიაში ფეხბურთი ბიზნესია, დიდი ბიზნესი და უამრავ ადამიანს მისი თუნდაც ერთი დღით შეჩერება ჯიბეზე ურტყამს, მაგრამ სერსე კოზმი დარწმუნებულია, რომ ფული ყველაფერს არ უნდა ვამჯობინოთ...

„ჩვენში ყველაფერი სარფისთვის კეთდება და ამის გამო ნორმალური ადამიანები სტადიონებზე აღარ დადიან. როდის განახლდება ჩემპიონატი, სულაც არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ახლა ამის დრო არაა. ახლა ყველანი უნდა დავსხდეთ და გავიაზროთ, რა ხდება და რა უნდა მოხდეს. ამბობენ, რომ სტადიონები კლუბებს უნდა გადაეცეთ, მაგრამ იტალიელებს ამის გამოცდილება გვაქვს და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით მეეჭვება, ჩვენმა კლუბებმა სარბიელების გაძღოლა შეძლონ. თუმცა, ასეა თუ ისე, ევროპულ შეჯიბრებებს პატივი უნდა ვცეთ და წინ უნდა გავიხედოთ".

### რაო, რაო?

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არის მოსაზრება, რომ ზოგ შემთხვევაში მატჩები უმაყურებლოდ უნდა გაიმართოს, რამაც *„მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი* შეძრა...

„უმაყურებლოდ თამაში აბსურდია. ამას ის სჯობს, კიდევ ერთი კვირა არ ვითამაშოთ. ის ხულიგნები, ვინც კატანიაში რბევა და მკვლელობა მოაწყო, დასასჯელები არიან, მაგრამ უმაყურებლო ფეხბურთიც სიკვდილის ტოლფასია. ჩემპიონატების შეჩერება და სანაკრებო თამაშის გადადება ძლიერი სიგნალი იყო, ამიერიდან კი, ვფიქრობთ, „ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკას უნდა მივსდიოთ. კიდევ, ვფიქრობ, მომავალში ინგლისური და ამერიკული მოდელების შენარევი უნდა გამოვიყენო. კერძოდ, ინგლისურ მკაფიო კანონებს ამერიკულად სტადიონზე ოჯახებით სიარული უნდა შევუზავოთ. ინგლისის ზუსტი კოპირება კი არ გამოგვივა, რადგან ინგლისში ქომაგები თავიანთ დამარცხებულ გუნდს ტაშს უკრავენ, ჩვენში კი წაგებას არ აღიარებენ და ვერ ეგუებიან".

**პაპუნა ძედია**

# ამხანაგური მატჩები

## არაგონესს სირცხვილიც კი ვერ მოხსნის

**„ოლდ ტრეფორდზე“** ინგლისის ნაკრები ლუის არაგონესის ესპანეთს უმასპინძლებს. მარტში ორივე გუნდს ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე მნიშვნელოვანი შეხვედრები ელის, ამიტომაც, ცხადია, მანჩესტერულ არენაზე გამართულ მატჩს დიდი ყურადღებით მოეკიდებიან.

სტივ მაკლარენის გუნდს ევროშესარჩევში ესპანელებზე უკეთ აქვს საქმე. ინგლისი E ჯგუფში მესამეა და ლიდერ ხორვატიას 3-ით, მეორეადგილოსან რუსეთს კი 1 ქულით ჩამორჩება.

აი, ესპანელებს კი ევრო 2008-ის მიღმა დარჩენა ემუქრებათ; F ჯგუფში მეხუთეზე არიან და ლიდერ შვედეთისგან მთელი 9 ქულა აშორებთ.



ჯონ ტერის ტრავმამ სტივ მაკლარენს გეგმები აურია



ლუის არაგონესი

ინგლისი ტრავმირებულ კაპიტანს, ჯონ ტერის მოისაკლისებს. ასევე არ ითამაშებს მუხლმტკივანი ეშლი კოული.

ტერის ჯონათან ვუდგეიტი შეცვლის, რომელსაც ნაკრებში 2004 წლის მარტის შემდეგ არ უთამაშია. კოულის სავარაუდო ჩამნაცვლებელმა უეინ ბრიჯმა კი ორშაბათის ვარჯიშზე მიიღო ტრავმა და ამის გამო დაცვის მარცხენა ფლანგზე გარეთ ბერის ან ჯეიმი კარაგერს ვიხილავთ.

რახან კაპიტანი დაშავებულია, გუნდს ლივერპულელი სტივენ ჯერარდი გაიყვანს მოედანზე. მატჩის წინ სტივმა ჟურნალისტებს უთხრა: „ესპანეთთან თამაში ადვილი არ იქნება, თუმცა მოსაგებად ბოლომდე ვიბრძოლებთ“.

მაკლარენი სამხრეთელებთან 4-4-2 ან 4-3-3 სქემას გამოიყენებს.

მართალია, უეინ რუნიმ კვირას „ტოტენჰემთან“ მატჩის მერე მოედანი კოჭლობით დატოვა, მაგრამ ბრიტანული გაზეთები წერენ, რომ მანჩესტერელი მაინც ითამაშებს.

და კიდევ: ტრავმირებულები არიან ენდრიუ ჯონსონი, ჯერმენ ჯენასი და ოუენ ჰარგრივსი.

პირინეიზე კი გულშემატკივრებს და ჟურნალისტებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, „ფურია როხას“ ბოლოდროინდელი წაგებების „სულისჩამდგმელი“ ლუის არაგონესი ნაკრების თავკაცად ინგლისთან მარცხის შემთხვევაშიც დარჩება თუ არა...

„ინგლისთან 0:4, ან სულაც 0:10 რომ წავაგოთ, არაგონესს ისევ მწვრთნელად ვიხილავთ?“ — შეეკითხა მავანი ჟურნალისტი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ანხელ მარია ვილიარს.

„აუცილებლად. ჩვენ არაგონესს ვენდობით“ — მტკიცედ უპასუხა ვილიარმა და დასძინა, აჭარბებთ, ინგლისთან ასე არ შევრცხვებით, პირიქით, მოგებას ვაპირებთო.

რაული მანჩესტერში არ იქნება. თავდასხმაში დავიდ ვილიას მხარდამხარ ატლეტიკოელი ფერნანდო ტორესი და ვალენსიელი ფერნანდო მორიენტესი ითამაშებენ. მორიენტესი შესანიშნავ ფორმაშია და საამსეზონო პრიმერადივიზიონში უკვე 9 გოლიც გაიტანა.

24 მარტს დანიასთან პრინციპულ ჯახში არც სერხიო რამოსი იქნება და არც კარლეს პუიოლი — დისკვალიფიცირებულნი არიან. თუმცა დღეს არაგონესი ორივეს ძირითადში დააყენებს. დაცვის ფლანგებზე კი სევილიელი ვეტერანი ხავი ნავარო და „სელტას“ ანხელი ითამაშებენ.

„ფურია როხა“ ინგლისს ბოლოს 2001-ში სტუმრობდა და სვენ გორან ერიკსონის გუნდთან 0:3 წააგო. 2004 წლის ნოემბერშიც ინგლისელებმა მოიგეს, ოღონდ ის მატჩი მადრიდში ჩატარდა და მაშინ წაგებით განრისხებულმა ინჩასებმა სტუმართა შავკანიანი ფეხბურთელები რასისტულად შეურაცხყვეს.

**ლადო ხომერიკი**



# ლიოვის გერმანია მასპინძელს მასპინძლობს

**დღეს** იოახიმ ლიოვის „ნაციონალმანშაფტი“ დიუსელდორფში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის თანამასპინძელ შვეიცარიას დაუხვდება. ბუნებრივია, ამ ამხანაგურ შეხვედრას ორივე ნაკრები გარკვეული ექსპერიმენტებისთვის გამოიყენებს, თუმცა ლიოვს იძულებითი ცვლილებების მოხდენაც უწევს — შესაძლოა, გერმანიამ ორივე ძირითადი ფორვარდის გარეშე ითამაშოს.

გეხსომებათ, ოქტომბერში გერმანია — საქართველოს ამხანაგური შეხვედრისას ლუკამ პოდოლსკი ზურაბ ხიზანიშვილთან განზრახ უხეშობისთვის გააძევეს და მერე ამხანაგურ მატჩებში ორთამაშიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს. სწორედ ამის გამო ვერ ითამაშებს იგი შვეიცარიასთან.

მიროსლავ კლოზეს მინდორზე გასვლა კი საეჭვოა — „ვერდერის“ თავდამსხმელი ხელს იტკივებს.

თუ კლოზეც ვერ ითამაშებს, ლიოვი ალბათ მაიკ ჰანკეს და კევინ კურანის წყვილს ენდობა. „შტუტგარტის“ 21 წლის ფორვარდ მარიო გომესს კი, სავარაუდოდ, შეცვლაზე ვიხილავთ — ესპანელი მამისა და გერმანელი დედის შვილი, რომელიც ამ სეზონში მართლაც კარგად თამაშობს (11 გოლი), „ნაციონალმანშაფტში“ პირველად გამოიძახეს.

„ეს ჩემთვის ფანტასტიკური კვირაა. ეროვნულ ნაკრებში ყოფნა ჩემთვის ახდენილი ოცნებაა“ — თქვა გომესმა, რომელსაც გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში არაერთხელ უთამაშია.

შვეიცარიას კი, იმის შეგრძნება, რომ სტუმრად თამაშობს, ალბათ, დიდად არც ექნება, რადგან კობი კუნის ბევრი შეგირდი ბუნდესლიგელია. მაგალითად, „გერმანული“ იქნება შვეიცარიელთა თავდასხმის ხაზი — გომესის თანაგუნდელი მარკო შტრელერი და „დორტმუნდის“ ფორვარდი ალექსანდრ ფრაი.

შვეიცარიელთა მეკარეები, დიეგო ბენალიო და ფაბიო კოლტორტი კი ალბათ თითო ტაიმს ითამაშებენ, რადგან მწვრთნელს მათ შორის ჯერ კიდევ ვერ აურჩევია პასკალ ცუბერბიულერის შემცვლელი.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# რამდენი ხნით ჩავიდა ჰიდინკი ჰოლანდიაში?

**დღეს** ამსტერდამში ჰოლანდია რუსეთს „ნახევარი გუნდით“ მასპინძლობს და მოსალოდნელია, რომ მცველს ვილფრედ ბუმას მარკო ვან ბასტენი სასტარტო შემადგენლობაში ათამაშებს.

რატომ გამოვარჩიეთ ბუმა? საქმე ის გახლავთ, რომ ეს ფეხბურთელი „ორანიეს“ შემადგენლობაში 2005 წლის სექტემბრის შემდეგ არ ყოფილა. ასე რომ, „ამსტერდამ არენაზე“ დაბრუნება შედგება. იგი მასპინძელთა დაცვის ცენტრში იორს მატიისენის მეწყვილე იქნება.

დაშავებულები არიან მეკარე ედვინ ვან დერ სარი, მცველები ანდრე ოიერი, ხალიდ ბულარუზი და თავდამსხმელები, რობინ ვან პერსი და არიენ რობენი. შესაბამისად, ნარინჯისფერთა შეტევა ლივერპულელი დირკ კუიტისა და ჰამბურგელი რაფაელ ვან დერ ვაარტის ზურგზე იქნება შემოდებული.

სხვათა შორის, ჰოლანდიელები რუსებს ბოლოს მაშინ შეხვდნენ, ამათ ჯერ კიდევ თანამეგობრობის ნაკრები რომ ერქვათ. ეს იყო 1992 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დირკ კუიტს ძალიან გაუჭირდება რუუდ ვან ნისტელროოისა და ვან პერსის დაცარიელებული ადგილის შევსება. ვან პერსზე უკვე გითხარით (თუმცა იმასაც დავძენთ, რომ ევრო 2008-ის შესარჩევში ჰოლანდიელთა შვიდი გოლიდან ოთხი მან გაიტანა), რუუდ ვან ნისტელროოიზე კი იმას მოგახსენებთ, რომ „რეალის“ ვარსკვლავმა ნაკრებში თამაშზე კატეგორიული უარი განაცხადა და დასძინა, ვან ბასტენთან ურთიერთობა არ შემიძლიაო.

ვერ გეტყვით, ჰოლანდიელთა ბედია ასეთი, თუ რა ხდება, მაგრამ რუსთა ჰოლანდიელ მწვრთნელ გუს ჰიდინკსაც რომ ბევრი ჰყავს დაშავებული, ფაქტია.



მისი 18 ფეხბურთელიდან სამი მეკარეა. მცველი სერგეი იგნაშევიჩი რამდენიმე კვირა ვერ ითამაშებს, მან ცეესკას შემადგენლობაში თამაშისას თავი იტკინა — ეს ისრაელში დაემართა ექვსთა საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშეს შეასკდა.

ცნობისთვის: ტურნირი რომან აბრამოვიჩის დაფინანსებული გახლდათ და საპრიზო ფონდი 8 მილიონი დოლარი იყო.

ჰიდინკს სხვა პრობლემაც აქვს, ჰოლანდიური მართლმსაჯულება გადასახადების დამალვის გამო ერჩის, მაგრამ რუსთა მწვრთნელი გვარწმუნებს, რომ მისი იურიდიული პრობლემები ფეხბურთზე არ აისახება.

„სასამართლოში სამშაბათს უნდა გამოვცხადდე და სხდომის შემდეგ გუნდთან დავბრუნდები“ — უთხრა სახელოვანმა სპეციალისტმა რუს ჟურნალისტებს.

სახელმწიფო პროკურორმა კი ჰიდინკის ათი თვით ჩასმა მოითხოვა...

**პაპუნა ჭედია**

# ჩეხთა–ჩეხი როსიცკი



**სანაპრებო** შეკრებაზე პრალაში ჩასული ტომაშ როსიცკი პრიზით დააჯილდოვეს — ლონდონის „არსენალის“ შემტევი ნახევარმცველი 2006 წლის ჩეხეთის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

აქვე ვთქვათ, რომ როსიცკი და მისი თანამემამულეები დღეს ამხანაგურ მატჩში ბელგიას ეთამაშებიან.



# ვინ არ იგუბებს პირში წყალს

2007 წლის 1 ივლისიდან ჟოზე მაურინიუ მიუნხენის „ბაიერნს“ ჩაიბარებს.

ამის თაობაზე ლაპარაკი არ წყდება და გუშინდელი „ბილდის“ მთავარი თემაც ეს იყო. პოპულარული გერმანული გამოცემა დარწმუნებულია, რომ მაურინიუ სეზონის მერე ჩავა მიუნხენში და კონტრაქტსაც გააფორმებს.

„ბილდის“ მტკიცებით, „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი მაურინიუს მრჩეველ იორგენ მენდეშს უკვე დაუკავშირდა — ეს ამბავი თავად მენდეშმა დაადასტურა, ჰიონესმა კი ქვა ააგდო და...

„ბილდის“ კითხვაზე, მოგყავთ თუ არა მაურინიუ მიუნხენში, ჰიონესმა უპასუხა:

„მე არც მაურინიუსთვის დამირეკავს და არც მისი მრჩევლისთვის. თუ ის ამას გიდასტურებთ, ესე იგი, ტყუის. ვის რაში სჭირდება ასეთი სპეკულირება?!“

როცა ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, „ბაიერნის“ მწვრთნელად მხოლოდ სეზონის ბოლომდე დავრჩებიო, მის უკვე რამდენიმე ვარიანტი დასახელდა, თუმცა მაურინიუ ყველაზე ხმაურიანი და სარწმუნო ჩანს.

თუმცა, რატომ „ყველაზე“? აბა, „ბილდის“ სხვა ვერსიებიც ვნახოთ: ბერნდ შუსტერი, ჟერარ ულიე და მარჩელო ლიპი.

მიუნხენური კლუბის მფლობელი ფრანც ბეკენბაუერი კი კომენტარს თავს არიდებს:

„იმის მიუხედავად, რას მიაღწევს ოტმარი წლეულს, ბედნიერი ვიქნები, თუ იგი კიდევ რამდენიმე წელი დარჩება ჩვენთან“.

**ნინო სილაგაძე**

# პიზაროს იუვე უნდა და არ ადასტურებს

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პერუელმა ფორვარდმა კლაუდიო პიზარომ განაცხადა, მზად ვარ, ახალი სეზონიდან „იუვენტუსის“ მაისურა მოვირგოო.

„ვიცი, რომ „იუვენტუსი“ ჩემით დაინტერესებულია. იტალიაში სიამოვნებით ვითამაშებდი, თუმცა ტურინელთა მხრიდან ჯერ არავინ დამკავშირებია. ჩემმა აგენტმა უკვე არაერთი წინადადება მიიღო და ვეცდებით, საუკეთესო ავარჩიოთ — თქვა პიზარომ — თუ „ბაიერნი“ კონტრაქტის გახანგრძლივებას შემომთავაზებს, დავფიქრდები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი გუნდის მოძებნას თავისუფლად შევძლებ“.

**კოკი კანდელაკი**

# სიძულვილიდან სიყვარულამდე: სტადიო დელე ალპი ცოცხლდება

**ტურინის** „იუვენტუსის“ დირექტორებმა „სტადიო დელე ალპის“ რეკონსტრუქციის ახალი პროექტი შეიმუშავეს. ისინი აპირებენ, ხალხისგან მოძულებული სტადიონი მთლიანად გადააკეთონ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში „დელე ალპიზე“ ძალიან ცოტა ხალხი დადიოდა, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს — სტადიონი ქალაქის გარეუბანშია, ნისლიან ადგილზე, ტრიბუნები კი ისეა განლაგებული, ფეხბურთს ნორმალურად ვერ ნახავ...

მოკლედ, ამ სეზონში „იუვენტუსი“ და „ტორინო“ ტურინის „ოლიმპიკოზე“ თამაშობენ, რომელიც მოცულობით „დელე ალპის“ ვერ უტოლდება, მაგრამ ქომაგთა ნაკლებობას თითქმის არ განიცდის.

„ჩვენ ვაპირებთ უმაღლესი კლასის სტადიონის გაკეთებას, რომელიც მხოლოდ ფეხბურთისთვის არ იქნება გამიზნული. იგი სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლებს და ყოველდღიური გართობისა თუ დასვენების ადგილადაც გამოდგება. ახალი „დელე ალპი“ ფინანსურ მოგებასაც მოიტანს“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ გენერალურმა დირექტორმა ჟან-კლოდ ბლანმა.

„დელე ალპის“ რეკონსტრუქცია მთელი ქვეყნის ინტერესებში შედის, რადგან იტალიას 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. აქედან გამომდინარე, პროექტს, რომელიც დაახლოებით 130 მილიონი ევრო დაჯდება, მთავრობა და ფეხბურთის ფედერაციაც დააფინანსებენ.

**გიორგი კაკაბაძე**

## მილანმა ახალი ჯემალ-პირლო იპოვა

**იტალიური** „მილანი“ შვეიცარიული „ციურიხის“ ახალგაზრდა ვარსკვლავ ბლერიმ ჯემალით დაინტერესდა — შავ-წითლებს იგი ანდრეა პირლოს შემცვლელად მიაჩნიათ.

მაკედონიური ფესვების მქონე 20 წლის ფეხბურთელს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში და ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

თავად ჯემალიმ აღნიშნა, რომ იტალიაში სიამოვნებით ითამაშებდა.

## უიღბლო და გულნატკენი ოლა

„**ლიონის**“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ თქვა, „ტრუასთან“ მატჩმა გული მატკინა, მაგრამ კრიზისზე ნუ ვილაპარაკებთო. საფრანგეთის ხუთგზის ჩემპიონმა დაახლოებით ერთ თვეში მეოთხედ წააგო და ფაქტია, რომ ჟერარ ულიეს გუნდში რაღაც მოიშალა. შედეგად, მდევართან 16-ქულიანი უპირატესობა 11-მდე დავიდა.

— „ტრუასთან“ წაგება უფრო გულდასაწყვეტი იყო, ვიდრე „მარსელთან“ საფრანგეთის თასზე, რადგან მარსელში თამაში ყოველთვის ძნელია, „ტრუა“ კი აუტსაიდერია და მოგება გვმართებდა. ისიცაა, რომ იღბალმა ზურგი გვაქცია. მიუხედავად ამისა, პანიკის საფუძველი არ გვაქვს. ჩემი ვალია, გუნდი გავამხნევო. დარწმუნებული ვარ, ულიე და ფეხბურთელები ყველაფერს მოაგვარებენ“ — თქვა პრეზიდენტმა.

## ცუდი კოლუმბიური კოჭი

„**პარი სენ ჟერმენის**“ მცველი მარიო იეპესი კოჭის ტრავმის გამო გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. ამის შესახებ პარიზულმა კლუბმა განაცხადა. კოლუმბიელი ფეხბურთელი კვირას „მარსელთან“ მატჩში დაშავდა.

„ეს ძალიან ცუდი ამბავია“ — დაიჩივლა კლუბის შეფმა ალენ კაიზაკმა. იეპესს ექიმები დასტრიალებენ და გაარკვევენ, დასჭირდება თუ არა ოპერაცია.

პსჟ ამჟამად მე-17 ადგილზეა და ერთი ქულა აშორებს გასავარდნ ზონას. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ გუნდი პოლ ლე გუენმა ჩაიბარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რა ყვითლების საქმეა ჩემი მწვანეები?!



**გერმანიის** ნაკრების კაპიტანს და ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველ მიხაელ ბალაკს ისევ თავის მართლება უწევს. ზაფხულიდან მოყოლებული, რაც „ბაიერნიდან“ „ჩელსიში“ გადავიდა, ვინ აღარ აკრიტიკებს — გუნდს ვერ მოერგოო, ისე ველარ თამაშობსო, მუქთა ხელფასს იღებსო და ასე შემდეგ.

თავად ბალაკი კი სხვა აზრზეა...

„ვფიქრობ, ადაპტაცია კარგად გავიარე და გუნდს მშვენივრად მოვერგე. მიხარია, რომ ჩემი ადგილი ვიპოვე, რისი დადასტურებაც ბევრი რამით შემიძლია. რაც მთავარია, მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ მენდობა“ — აღნიშნა გერმანელმა.

ცოტა ხნის წინ ბალაკი ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლის“ ყოფილმა ლიდერმა ალან შირერმაც გააკრიტიკა. „შირას“ თქმით, იგი „ჩელსის“ და ინგლისს შეეგუა და არც ცდილობს ვითარების გამოსწორებას.

ბალაკის პასუხი ასეთია: „არ მაღელვებს, რას ამბობს ხალხი ჩემზე. შირერს შეუძლია, რაც უნდა, ის თქვას, ეს ცხოვრებაა და ყველას თავისი აზრი აქვს. თუმცა იმას, რომ უკეთ ათამაშებას არ ვცდილობ ან ცუდად გამოვიყურები, ვერ დავეთანხმები“.

30 წლის ნახევარმცველს კრიტიკა არც პრესისგან და ქომაგებისგან აკლია.

ბალაკის ყოველკვირეული ხელფასი 130 ათასი ევროა, რამაც იგი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცია — ბევრი თვლის, რომ მიხაელს ამხელა ჯამაგირი არ ეკუთვნის...

„ინგლისში ბევრი „ყვითელი“ ჟურნალ-გაზეთია — ამბობს გერმანელი — მათ ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულის დაწერა უნდათ და ნამდვილად არ მაინტერესებს, რას იგონებენ ან ამბობენ ჩემზე. იმას არ უარვყოფ, რომ „ჩელსის“ დარდიდ კლუბში კარგად ასათამაშებლად დროა საჭირო, თუმცა, ვფიქრობ, ადაპტაციის პერიოდი უკვე გავიარე“.

ისიც ითქვა, ბალაკი ფრენკ ლამპარდის ჩრდილშია და სათანადო პარტნიორობას ვერ უწევს ინგლისელსო. ცხადია, იგი არც ამ აზრს ეთანხმება: „მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ფრენკი — თავისას. მთავარი კი ისაა, გუნდს სარგებელი მოვუტანოთ“.

**გიორგი კაკაბაძე**

# ფეხბურთი ქვების წვიმაში

**ბრაზილიის** ჩემპიონატის ორი მატჩი ქომაგთა ჩხუბის გამო კინაღამ ჩაიშალა. სან პაულუში „პალმეირასის“ და „სანტოსის“ თამაშის წინ ფანებმა ხელჩართული ბრძოლა გამართეს, სადაც უხვად გამოიყენეს, ქვები, რკინის ნაჭრები და პიროტექნიკა.

პოლიციამ მათი გაშველება ვერ შეძლო, თუმც მოგვიანებით თავად დაიშალნენ. მატჩი კი მაინც გაიმართა და 3:3 დასრულდა.

„ვილა ნოვასა“ და „კრუზეიროს“ თამაში კი რვა წუთით შეწყდა, რადგან მასპინძელთა გულშემატკივრები სამართალდამცავებს დაერივნენ. პოლიციამ ცრემლსადენი გაზით დააშოშმინა მოჩხუბრები, შეხვედრა კი 2:2 დამთავრდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

მიუნხენი 5:1 ბურგჰაუზენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 20 | 13 | 6 | 1 | 46:20 | 45 |
| ჰანზა | 20 | 11 | 7 | 2 | 31:15 | 40 |
| დუისბურგი | 20 | 10 | 9 | 1 | 38:20 | 39 |
| ლაუტერნი | 20 | 9 | 8 | 3 | 27:17 | 35 |
| აუე | 20 | 10 | 3 | 7 | 29:26 | 33 |
| მიუნხენი | 20 | 9 | 4 | 7 | 29:26 | 31 |
| ოფენბახი | 20 | 8 | 4 | 8 | 27:29 | 28 |
| ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 23:25 | 28 |
| კიოლნი | 20 | 7 | 6 | 7 | 29:26 | 27 |
| ფიურტი | 20 | 7 | 5 | 8 | 29:24 | 26 |
| აუგსბურგი | 20 | 6 | 8 | 6 | 18:17 | 26 |
| პადერბორნი | 20 | 5 | 8 | 7 | 15:19 | 23 |
| კობლენცი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:28 | 23 |
| უნტერჰახინგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18:23 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:40 | 17 |
| კარლ ცაისი | 20 | 3 | 7 | 10 | 20:38 | 16 |
| ესენი | 20 | 3 | 6 | 11 | 16:25 | 15 |
| ბრაუნშვაიგი | 20 | 2 | 7 | 11 | 11:29 | 13 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIII ტური

გენგამი 1:1 სტრასბური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 22 | 14 | 7 | 1 | 32:11 | 49 |
| კაენი | 23 | 13 | 8 | 2 | 41:21 | 47 |
| ლე ავრი | 23 | 11 | 9 | 3 | 34:17 | 42 |
| სტრასბური | 23 | 11 | 9 | 3 | 28:18 | 42 |
| შატორუ | 23 | 11 | 5 | 7 | 28:24 | 38 |
| დიჟონი | 23 | 10 | 6 | 7 | 26:25 | 36 |
| გრენობლი | 23 | 8 | 10 | 5 | 34:26 | 34 |
| რეიმსი | 23 | 9 | 7 | 7 | 27:24 | 34 |
| ამიენი | 23 | 10 | 4 | 9 | 29:29 | 34 |
| ბასტია | 23 | 8 | 7 | 8 | 31:29 | 31 |
| გენიონი | 23 | 8 | 5 | 10 | 25:32 | 29 |
| აიაჩო | 23 | 7 | 7 | 9 | 22:25 | 28 |
| ლიბურნი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:31 | 26 |
| მონპელიე | 23 | 7 | 5 | 11 | 25:29 | 26 |
| ბრესტი | 23 | 4 | 11 | 8 | 25:29 | 23 |
| კრეტეი | 23 | 5 | 8 | 10 | 18:28 | 23 |
| გენგამი | 23 | 3 | 10 | 10 | 21:28 | 19 |
| ისტრი | 23 | 4 | 7 | 12 | 16:34 | 19 |
| ნიორი | 23 | 3 | 9 | 11 | 18:31 | 18 |
| ტურსი | 23 | 4 | 5 | 14 | 18:35 | 17 |

ნინა კვირას „ტოტენჰემ“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩის ბოლო წუთებში სტუმართა კარს მცველი ჯონ ოში იცავდა. 85-ე წუთზე ვეტერანი ჰოლანდიელი ედვინ ვან დერ სარი დაშავდა და, რადგან სამივე ცვლილება განხორციელებული იყო, მეკარეობა ირლანდიელმა იკისრა. და არცთუ ურიგოდ. მართალია, იმ დროისთვის მანჩესტერელები 4:0 იგებდნენ და ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ოშიმ რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა გუნდი, რითაც ქომაგები აღაფრთოვანა...



AFP

# ვაუ, ჯონი!

— ამ მატჩში მხოლოდ სამ ქულაზე ვფიქრობდით. სხვა გზა არ გვქონდა, რადგან წინა დღეს „ჩელსიმ“ მოიგო და ჩვენ თუ ქულებს დავკარგავდით, სხვაობა შემცირდებოდა.

— და ასეთ ძლიერ მეტოქესთან, თანაც სტუმრად, ფრე არ დაგაკმაყოფილებდათ?

— იქიდან გამომდინარე, რომ 4:0 მოვიგეთ — არა.

— ვინმეს რომ ეთქვა, ბოლო წუთებზე მეკარე დაშავდება და კარში ჩადგომა რომელიმე მოთამაშეს, კერძოდ, თქვენ მოგიწევთო, რას ეტყოდით?

— არ ვიცი, რთული კითხვაა. გააჩნია, რა ანგარიში იქნებოდა იმ დროისთვის... ახლა მთავარია, ვან დერ სარის ტრავმა სერიოზული არ გამოდგეს და იგი მალე დაგვიბრუნდეს.

— რატომ გარისკა იმ ეპიზოდში ვან დერ სარმა?

— ახლა ამაზე ლაპარაკი ადვილია, თუმცა მართებული არ იქნება. დასანანია, რომ ედვინმა ტრავმა მიიღო, გარისკვით კი იმიტომ გარისკა, რომ პროფესიონალია და ყველა მატჩში სურს, კარი მშრალად შეინახოს...

— რატომ გადაწყვეტეთ კარში ჩადგომა? თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ამას რიო ფერდინანდი აპირებდა.

— დიახ, თავიდან ვიფიქრეთ, რომ ხელთათმანებს რიო მოირგებდა, თუმცა მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ იგი დაცვაში დარჩენილიყო და კარში მე ჩავმდგარიყავი.

— ოდესმე ჩამდგარხართ კარში?

— სხვადასხვა პოზიციაზე მითამაშია: ფლანგზე, ნახევარდაცვის ცენტრში, თავდასხმაშიც კი, მაგრამ სერიოზულ მატჩებში მეკარე არასოდეს ვყოფილვარ. კარში მხოლოდ ბავშვობაში ვდგებოდი ხოლმე.

— არადა, კარგად კი გამოგივიდათ. ერთხელ პირისპირ გამოსულ მეტოქეს არ გაატანინეთ, მერე თქვენმა აკრობატულმა ნახტომმა აღაფრთოვანა ქომაგები და გამოსვლაზეც დამაჯერებლად თამაშობდით. მეკარეობაზე ხომ არ ფიქრობთ?

— არა მგონია, უკვე გვიანია... ჩემს პოზიციაზეც კარგად ვგრძნობ თავს. უბრალოდ, გუნდს უნდა დავხმარებოდი და, რაც შემეძლო, გავაკეთე.

— თავს მატჩის გმირად გრძნობთ?

— არა, რას ამბობთ... მატჩის საუკეთესო მოთამაშე ედვინია. მან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გვიხსნა რამდენჯერმე, როცა ანგარიში 0:0 იყო...

# ჩიკი და ორი თვალი: რონალდუ და ლამპარდი

**ინგლის — ესპანეთის** ამხანაგურ მატჩზე ჩელსელ ფრენკ ლამპარდს მანჩესტერში საგანგებოდ ჩაფრენილი „ბარსელონას“ დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი დააკვირდება. ჩიკი წუხელ ლონდონში იყო და „ემირატების“ სტადიონზე ბრაზილია — პორტუგალიის მატჩში კრიშტიანუ რონალდუს უცქერდა, რომელსაც „ბარსა“ და „რეალი“ ერთად ექაჩებიან. თუმცა „მანჩესტერის“ მწვრთნელმა კარლუშ კეიროშმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ბიჭი არ იყიდება და მას ახალ 26-მილიონგირვანქიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# სკოლარიმ ნისლში გაიხედა

**ბრაზილიელმა** მწვრთნელმა ლუიშ ფილიპე სკოლარიმ თქვა, რომ ინგლისში მუშაობა სურს.

შეგახსენებთ: პორტუგალიელთა მწვრთნელს ზაფხულში ინგლისის ნაკრების თავკაცობას სთავაზობდნენ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

სკოლარიმ უკვე გადაწყვიტა, რომ 2008 წელს, როცა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი დაუმთავრდება, რომელიმე სხვა ნაკრებს ან კლუბს ჩაიბარებს.

„ინგლისში სიამოვნებით ვიმუშავებდი. იაპონიაში, საუდის არაბეთში, ქუვეითში, პორტუგალიასა და ბრაზილიაში მუშაობის გამოცდილება მაქვს, ასე რომ, ადაპტაცია არსად გამიჭირდება. თუმცა ახლა მხოლოდ პორტუგალიაზე ვფიქრობ“ — განაცხადა „დიდმა ფილმა“.

**გიორგი ძაძამიძე**

# ლივერპულიც ამერიკულია

**„ლივერპული“** ორი ამერიკელის ხელში ჩავარდა — მყიდველები ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი არიან, ფასი კი 470 მილიონი გირვანქაა.

ჰიკსი, რომელიც ასევე ბეისბოლის გუნდ „ტექსას რეინჯერსის“ პატრონიცაა, წინა კვირაში შეუერთდა ჯილეტს და თანაბრად გაინაწილებს ხარჯებს. მისი მოსვლა კი იმას ნიშნავს, რომ „ლივერპულს“ და მის თანაქალაქელ „ევერტონს“ ზიარი სტადიონი აღარ ექნებათ „სტენლი პარკში“.

ჯილეტი და ჰიკსი ადრე კომპანიონებიც ყოფილან ხორცის წარმოების საქმეში, ჯილეტი კი ერთხელ გაკოტრებულა კიდეც.



AFP

მოკლედ, „ლივერპული“ მესამე პრემიერლიგური კლუბია „მანჩესტერისა“ და „ასტონ ვილას“ შემდეგ, ამერიკელთა ხელში რომ გადავიდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## დევიდ ვეირის ვაი

**გლაზგოს** „რეინჯერსის“ მცველი დევიდ ვეირი გაძარცვეს. შოტლანდიელის სახლში ოთხი ბოროტმოქმედი ღამე შეიპარა — ძვირფასი საათი და ხუთი ათასი გირვანქა მოხვეტეს და ვეირისვე ავტომობილით მიიმალნენ. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი სამ შვილთან ერთად შინ იყო, მძარცველები რომ დალანდა, ბავშვებიანად გაიპარა და მეზობელს დახმარება სთხოვა. მეზობელმა პოლიცია გამოიძახა, რომელიც მალევე კი მივიდა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა გაასწრეს.

დევიდ ვეირი იანვარში გადავიდა „ევერტონიდან“ „რეინჯერსში“ და უარი თქვა ნაკრებში თამაშზე — 36 წლის ვარ და ოჯახისთვის მეტი დრო მჭირდებაო. მას ჰყავს მეუღლე ფიონა და ოთხი შვილი.

## კორომანი გათხოვდა

**ინგლისური** „პორტსმუთის“ ნახევარმცველი ოგნიენ კორომანი „ცრვენა ზვეზდაში“ იჯარით გადავიდა. სერბული „იადრანსპორტის“ ცნობით, 28 წლის ფეხბურთელი შვიდი თვე ითამაშებს ბელგრადულ კლუბში. „პორტსმუთამდე“ მან რუსული პრემიერლიგა მოიარა — უთამაშია სამარის „კრილია სოვეტოვში“ და გროზნოს „ტერეკში“.

## ძაჭძაჭი სიბიერსკის ეჭიკჭიკება

**„ნიუკასლს“** 32 წლის ფრანგ ნახევარმცველ ანტუან სიბიერსკისთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს. ამის თაობაზე ინფორმაციას SKY ავრცელებს. ფრანგი „კაჭკაჭებში“ შარშან ზაფხულს „მანჩესტერ სიტიდან“ გადავიდა და ერთწლიან გარიგებას მოაწერა ხელი. ძირითად შემადგენლობაში ადგილი უმალ დაიმკვიდრა და მწვრთნელიც მისით ძალიან კმაყოფილია, ამიტომაც უნდა კლუბს სიბიერსკისთან კონტრაქტის ორი წლით გაგრძელება. მოლაპარაკებები მომავალ კვირაში გაიმართება.

## თოფიანი ტრენაჟორზე

**ინგლისის** ლიგის თასზე 24 იანვარს „ტოტენჰემთან“ დაშავებული არსენალელი ალექსანდრ გლები ნავარაუდევზე ადრე მომჯობინდება. ბელარუსმა ფეხბურთელმა ბარძაყის კუნთის ტრავმა მიიღო და, ექიმების თქმით, მკურნალობა კარგად მიდის. „უკვე ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და თან თერაპიის კურსს გავდივარ — განაცხადა „მეთოფემ“ — ორშაბათისთვის ბოლომდე გამოვკეთდები და გუნდს შევუერთდები.“

## ბაბელმა ჭორს ხელი მოაწერა

**ამსტერდამის** „აიაქსის“ ფორვარდმა რაიან ბაბელმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ამით ბოლო მოუღო ჭორებს შესაძლო წასვლის თაობაზე. ამბობდნენ, რომ მისი გადაბირება „არსენალს“ და „ნიუკასლს“ სურდათ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას. „აიაქსმა“ კი ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე დაიყაბულა და ბაბელი კიდევ ორი წლით დარჩება ამსტერდამში, სადაც იგი 2004 წლიდანაა და ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში. ხელშეკრულება გააგრძელა კენეტ ვერმეერმაც, რომელიც 2010 წლამდე ითამაშებს „აიაქსში“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ჰაიდი კლუმის გოგონები

„გერმანიის მომავალი ტოპმოდელი“ — ამ სატელევიზიო შოუს წამყვანი ცნობილი გერმანელი ლამაზმანი ჰაიდი კლუმი გახლავთ.

გეხსომებათ, ჰაიდი პირველად 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნაზე „გამოჩნდა“ ფეხბურთში და მაშინვე დიდი ინტერესი და მილიონობით მამაკაცის ყურადღება მიიპყრო.

კლუმი ამჟამადაც ფეხბურთშია — 4 თებერვალს ბუნდესლიგის მე-20 ტურში, „დორმტუნდ“ — „შტუტგარტის“ მატჩის შესვენებისას მოედანზე ის ოთხი მოდელი შეცუნცულდა, რომლებიც ჰაიდის მომავალ შოუში მიიღებენ მონაწილეობას.

მინი-ჩვენების თემა ასეთი იყო: „გოგონები საფეხბურთო თეთრეულში“.

**ძახა ზალამბერიძე**



AFP

# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 16:45 | 1 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.15 | 3.20 | 3.35 | 1.28 | 1.30 | 1.63 |
| 19:00 | 2 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.30 | 5.10 | 9.00 | 1.03 | 1.13 | 3.25 |
| 19:00 | 4 | ევერტონი-ბლექბერნი | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |
| 19:00 | 5 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.16 | 6.60 | 15.00 | 1.00 | 1.07 | 4.58 |
| 19:00 | 7 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.85 | 3.20 | 1.95 | 1.74 | 1.29 | 1.21 |
| 19:00 | 9 | შეფილდი-ტოტენჰემი | 2.85 | 3.20 | 2.40 | 1.50 | 1.30 | 1.37 |
| 19:00 | 10 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 21:15 | 11 | პორტსმუთი-სიტი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:30 | 12 | ბოლტონი-ფულემი | 1.65 | 3.40 | 5.70 | 1.11 | 1.27 | 2.12 |
| 20:00 | 13 | არსენალი-უიგანი | 1.22 | 5.60 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.81 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 15 | საუთენდი-ქპრ | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 17 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 18 | ბარნლი-უენსდი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 19 | ქოვენთრი-კარდიფი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 20 | დერბი-ჰალი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 19:00 | 21 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 19:00 | 22 | ლიდსი-კრისტალ პალასი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 23 | ლუტონი-ნორვიჩი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 24 | პლიმუთი-სანდერლენდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 25 | პრესტონი-ვულვერჰემპტონი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| 19:00 | 26 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 15:30 | 16 | ბირმინგემი-სტოკი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 28 | ბორნმუთი-ლეიტონი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 29 | ბრენტფორდი-ბრაიტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 30 | ბრისტოლი-ჰადერსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 31 | კარლაილი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 32 | ქრიუ-სკანთორპი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 33 | ჯილინგემი-ბრედფორდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 34 | მილუოლი-ჩესტერფილდი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 35 | ნოტინგემი-ნორთჰემპტონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 36 | პორტ ვეილი-ჩელტენემი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 19:00 | 37 | როტერჰემი-ბლეკპული | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 38 | სუონსი-ოლდემი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 39 | ტრანმერი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 40 | ჩესტერი-ჰერეფორდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 41 | ბარნეტი-აკრინგტონი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 42 | დარლინგტონი-ბოსტონი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 43 | გრიმსბი-როვერსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 44 | ჰარტლპული-უოლსოლი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 45 | ლინკოლნი-ტორკი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 46 | დონსი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 47 | პიტერბრო-რექსემი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 48 | როჩდეილი-სუინდონი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 49 | შრიუსბერი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 50 | სტოკპორტი-მენსფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 51 | უიკომბი-ნოტსი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 66 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 68 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.30 | 4.80 | 8.00 | 1.02 | 1.11 | 3.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 70 | ფოლკირკი-მოზერუელი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 71 | ჰართსი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 72 | სტ.მირენი-დანდი იუნ. | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 73 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 5.70 | 3.70 | 1.50 | 2.24 | 1.18 | 1.06 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 90 | შტუტგარტი-ვერდერი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 91 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 18:30 | 92 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| 18:30 | 93 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:30 | 94 | მაინცი-კოტბუსი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:30 | 96 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.75 | 3.20 | 4.85 | 1.13 | 1.28 | 1.92 |
| 18:30 | 97 | შალკე-ჰერტა | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 98 | ბაიერნი-არმინია | 1.25 | 5.10 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.48 |
| 20:00 | 100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 20:45 | 121 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:45 | 122 | ლუცერნი-სიონი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 20:45 | 123 | სტ.გალენი-აარაუ | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 124 | შაფჰაუზენი-თუნი | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 125 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 174 | ბეტისი-სევილია | 3.20 | 2.90 | 2.30 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| 23:00 | 181 | სოსიედადი-რეალი | 3.95 | 3.40 | 1.85 | 1.82 | 1.25 | 1.19 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22:00 | 172 | ბარსელონა-რასინგი | 1.33, | 4.20 | 9.50 | 1.01 | 1.16 | 2.91 |
| 20:00 | 176 | სელტა-ესპანიოლი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 177 | ხეტაფე-ვალენსია | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 20:00 | 178 | ტარაგონა-ოსასუნა | 2.95 | 2.90 | 2.45 | 1.46 | 1.33 | 1.32 |
| 20:00 | 179 | ლევანტე-უელვა | 2.55 | 3.00 | 2.70 | 1.37 | 1.31 | 1.42 |
| 20:00 | 180 | მალიორკა-სარაგოსა | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 20:00 | 183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:00 | 196 | ბორდო-მარსელი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 23:00 | 197 | ლე მანი-სედანი | 1.70 | 3.20 | 5.30 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 23:00 | 198 | ლანსი-სოშო | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| 23:00 | 199 | ლიონი-ლორიანი | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 23:00 | 201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 23:00 | 202 | ნიცა-ტრუა | 1.85 | 3.00 | 4.40 | 1.14 | 1.30 | 1.78 |
| 23:00 | 203 | პსჟ-მონაკო | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 23:00 | 204 | რენი-ნანსი | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 23:00 | 205 | ტულუზი-ლილი | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 18:45 | 258 | ერგოტელისი-აეკ | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 21:00 | 259 | პანიონიოსი-არისი | 2.10 | 2.90 | 3.45 | 1.21 | 1.30 | 1.57 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 260 | ატრომიტოსი-ეგალეო | 1.85 | 3.10 | 3.95 | 1.15 | 1.25 | 1.73 |
| 18:45 | 262 | კალამარია-პაოკ | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| 18:45 | 263 | ქსანთი-ოლიმპია | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:00 | 264 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1.18 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 3.86 |
| 21:00 | 265 | პანათინაიკოსი-ოფი | 1.16 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.05 | 4.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 310 | ეგვიპტე-შვედეთი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 21:00 | 311 | მალტა-ავსტრია | 7.30 | 4.00 | 1.40 | 2.58 | 1.17 | 1.03 |
| 23:00 | 312 | გერმანია-შვეიცარია | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:45 | 313 | ბელგია-ჩეხეთი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 23:45 | 314 | ინგლისი-ესპანეთი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 23:45 | 315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 316 | საფრანგეთი-არგენტინა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 23:45 | 317 | ვენესუელა-ჩილე | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 20:30 | 496 | ისრაელი-უკრაინა | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 23:15 | 498 | სლოვენია-ესტონეთი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 23:15 | 499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:30 | 501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 502 | კოლუმბია-ურუგვაი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 503 | აშშ-მექსიკა | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| | | **ამხანაგური მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 512 | ისრაელი(21)-უკრაინა(21) | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:30 | 513 | საფრანგეთი(21)-შვეიცარია(21) | 1.70 | 3.20 | 3.30 | 1.11 | 1.12 | 1.62 |
| 21:30 | 514 | ჰოლანდია(21)-დანია(21) | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 318 | ბოავიშტა-ნასიონალი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 19:00 | 319 | მაია-ბეირა მარი | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 23:45 | 320 | ვარზიმ-ბენფიკა | 12.00 | 5.20 | 1.20 | 3.62 | 1.09 | 1.00 |
| | | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 321 | სან მარინო-ირლანდია | 34.00 | 10.00 | 1.02 | 7.72 | 1.00 | 1.00 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 515 | ტამპერე-ტურკუ | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 20:00 | 516 | ჰიკ-ვიიკინგიტი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 20:00 | 517 | ლაჰტი-კტპ | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 21:00 | 518 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19:45 | 519 | იარო-ვპს | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 325 | პარანა-კობრელოა | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 23:45 | 326 | სანტოსი-ბლუმინგი | 1.15 | 6.00 | 12.50 | 1.00 | 1.05 | 4.05 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10310 | ეგვიპტე-შვედეთი | 3.45 | 2.00 | 2.65 | 1.26 | 1.49 | 1.13 |
| 10311 | მალტა-ავსტრია | 7.00 | 2.50 | 1.70 | 1.84 | 1.36 | 1.01 |
| 10312 | გერმანია-შვეიცარია | 1.95 | 2.30 | 5.50 | 1.05 | 1.43 | 1.62 |
| 10313 | ბელგია-ჩეხეთი | 3.25 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.48 | 1.15 |
| 10314 | ინგლისი-ესპანეთი | 2.50 | 2.00 | 3.85 | 1.11 | 1.51 | 1.31 |
| 10315 | ჰოლანდია-რუსეთი | 2.00 | 2.10 | 5.75 | 1.02 | 1.48 | 1.53 |
| 10316 | საფრანგეთი-არგენტინა | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10496 | ისრაელი-უკრაინა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10499 | ხორვატია-ნორვეგია | 2.35 | 2.00 | 4.40 | 1.08 | 1.53 | 1.37 |
| 10501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 2.65 | 2.00 | 3.45 | 1.13 | 1.49 | 1.26 |
| 10503 | აშშ-მექსიკა | 2.85 | 2.00 | 3.15 | 1.17 | 1.49 | 1.22 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11310 | ეგვიპტე-შვედეთი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11311 | მალტა-ავსტრია | 12.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11312 | გერმანია-შვეიცარია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11313 | ბელგია-ჩეხეთი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11314 | ინგლისი-ესპანეთი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11315 | ჰოლანდია-რუსეთი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11316 | საფრანგეთი-არგენტინა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11496 | ისრაელი-უკრაინაა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11499 | ხორვატია-ნორვეგია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11503 | აშშ-მექსიკა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12310 | ეგვიპტე-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 12311 | მალტა-ავსტრია | 2.20 | 1.45 |
| 12312 | გერმანია-შვეიცარია | 1.90 | 1.70 |
| 12313 | ბელგია-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12314 | ინგლისი-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 12315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 12316 | საფრანგეთი-არგენტინა | 1.60 | 2.00 |
| 12496 | ისრაელი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 12499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12503 | აშშ-მექსიკა | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13310 | ეგვიპტე-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13311 | მალტა-ავსტრია | 2.00 | 1.50 |
| 13312 | გერმანია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 13313 | ბელგია-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13314 | ინგლისი-ესპანეთი | 1.60 | 1.95 |
| 13315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13316 | საფრანგეთი-არგენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13496 | ისრაელი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 13499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13503 | აშშ-მექსიკა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14310 | ეგვიპტე-შვედეთი | 2.00 | 1.80 |
| 14311 | მალტა-ავსტრია | 2.60 | 1.20 |
| 14312 | გერმანია-შვეიცარია | 1.30 | 2.50 |
| 14313 | ბელგია-ჩეხეთი | 2.00 | 1.80 |
| 14314 | ინგლისი-ესპანეთი | 1.75 | 2.10 |
| 14315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.30 | 2.50 |
| 14316 | საფრანგეთი-არგენტინა | 1.80 | 2.00 |
| 14496 | ისრაელი-უკრაინა | 1.90 | 1.90 |
| 14499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.65 | 2.20 |
| 14501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 1.80 | 2.00 |
| 14503 | აშშ-მექსიკა | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15310 | ეგვიპტე-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | მალტა-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | გერმანია-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | ბელგია-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | ინგლისი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ჰოლანდია-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | საფრანგეთი-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ისრაელი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15499 | ხორვატია-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15503 | აშშ-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16310 | ეგვიპტე-შვედეთი | 2.30 | 1.47 |
| 16311 | მალტა-ავსტრია | 5.00 | 1.09 |
| 16312 | გერმანია-შვეიცარია | 1.16 | 3.30 |
| 16313 | ბელგია-ჩეხეთი | 2.00 | 1.60 |
| 16314 | ინგლისი-ესპანეთი | 1.45 | 2.20 |
| 16315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.20 | 3.50 |
| 16316 | საფრანგეთი-არგენტინა | 1.47 | 2.30 |
| 16496 | ისრაელი-უკრაინა | 1.90 | 1.70 |
| 16499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.35 | 2.65 |
| 16501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 1.45 | 2.30 |
| 16503 | აშშ-მექსიკა | 1.60 | 2.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17310 | ეგვიპტე-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | მალტა-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17312 | გერმანია-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17313 | ბელგია-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17314 | ინგლისი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | საფრანგეთი-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17496 | ისრაელი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17503 | აშშ-მექსიკა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



მალხაზ ჭეიშვილი

# აი, დონე!

## ბრწყინვალე კვირიკაშვილი და ნაჩქარევი ბრონკანი

**3 თებერვალს ბუქარესტში ქართველთაგან რუმინელების ძლევას გუშინ რაგბის კავშირმა პრესკონფერენცია მიუძღვნა. ჟურნალისტების კითხვებს ჩვენების მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა და სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ უპასუხეს. შეგახსენებთ, რომ ევროპის ერთა თასის ჩემპიონი ორწლიანი ჯამური მონაგრით გამოვლინდება და ბუქარესტში სატურნირო ქულების გარდა, ქართველებმა ჩვენსა და რუმინეთს შორის საცილო ანთიმოზ ივერიელის თასიც მოიპოვეს**

*ჭეიშვილი:* მართებული გადაწყვეტილება მივიღეთ, როდესაც საფრანგეთში შეკრებაზე უარი ვთქვით და ოთხდღიანი მზადება ადგილზე, ბუქარესტში გავიარეთ. საერთოდ, მოკლევადიანი შეკრება ჩვენი ტრადიციული პრობლემაა, მაგრამ ამჯერად ყოველი დღე ნაყოფიერი გამოდგა. ბუქარესტში სპორტულ ბაზაზე ვცხოვრობდით, სადაც მშვენიერი პირობები გვქონდა. ბიჭებმა ადაპტაციაც მოასწრეს და გუნდი კიდევ უფრო შეიკრა.

*გვენეტაძე:* სავარჯიშოდ მართლაც იდეალური პირობები გვქონდა, რაც ჩვენი სპონსორების „ბითიაი ბანკის" „სევენ სქაის" და საქაერონავიგაციის დამსახურებაა. ადგილზე შეკრებამ გაამართლა, რადგან გადაფრენა-გადმოფრენა ბიჭებს ძალიან დაღლიდა და, ფაქტობრივად, ერთ დღეში ადაპტაციას ველარ მოასწრებდნენ."

*ჭეიშვილი:* მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. განსაკუთრებით დაცვაში იდგნენ საიმედოდ და შეტევაშიც მიზანმიმართულად გადიოდნენ. მართალია, გვქონდა შეცდომები, მაგალითად, შეტევაში რამდენჯერმე ბურთი ხელიდან გაგვივარდა, მაგრამ უწინდელთან შედარებაც არაა. ჩვენ ნაკრებში შევქმენით ეგრეთ წოდებული „ტაქტიკური ჯგუფი". ამ ჯგუფში შედიან ამპლუების მიხედვით: ორი ნომერი, კაპიტანი, ცხრა, ათი და თხუთმეტი ნომრები. თუ მოედანზე მწვრთნელების დავალება არ შესრულდება, პასუხი ამ ჯგუფს მოეთხოვება. პასუხის მოთხოვნა კი, მერწმუნეთ, ძალიან მკაცრად ვიცით. რაც შეეხება ცალკეულ მოთამაშეებს, მათგან მაინც მერაბ კვირიკაშვილს გამოვყოფდი. მომდევნო მატჩებში ათ ნომრად კვირიკაშვილი დადგება, პალიკო ჯიმშელაძე კი თხუთმეტ ნომრად, ანუ ბოლო მცველად ითამაშებს. რუმინეთთან მატჩის შემდეგ მეტოქის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, რომ კვირიკაშვილი ბრწყინვალე იყო და ერთი შეცდომაც არ დაუშვია.

*გვენეტაძე:* ჩვენ რუმინეთში რომ ვიყავით, აქ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაკრების კონსულტანტად ფრანგული „ოშის" მწვრთნელი ანრი ბრონკანი ინიშნება. ეს განცხადება ცოტა ნაჩქარევია. რაგბის კავშირი კონსულტანტის პოსტზე რამდენიმე უცხოელ მწვრთნელთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ბრონკანი ერთ-ერთი მათგანია და ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია.

*ჭეიშვილი:* ბრონკანს საფრანგეთში ყოფნისას არ შევხვედრივარ და მისი ნაკრების კონსულტანტად შესაძლო დანიშვნა მეც პრესით შევიტყვე... რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გეტყვით, რომ ნაკრებმა უკვე მიაღწია იმ დონეს, თანამედროვე რაგბი რომ ითამაშოს. მსოფლიოს თასამდე კიდევ მოვუმატებთ და გარწმუნებთ, მსოფლიოს თასზე მართლაც ღირსეულად ვითამაშებთ.

**ბაჩო სვანიძე**

**2007 წლის 25 თებერვალს, 13 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართება საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა**



# ევროპამ ნაცვლიშვილს საფრანგეთი აჩუქა




**ეროვნული ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი და თამაშების მხრივ რეკორდსმენი ვახტანგ ნაცვლიშვილი მძლავრ სეზონს ატარებს. როგორც ჩანს, ვატომ თავი საბოლოოდ დააღწია იმ საშინელ ტრავმას, რომლის გამოც მან ოპერაცია გადაიტანა და წელიწადნახევარიც გაუცდა. სწორედ იმ ხანგრძლივი უქმობის ბრალი იყო, ნაცვლიშვილმა ნაკრებში ჩვეულად რომ ვერ გაიქნია ხელი — საკვალიფიკაციო მატჩებში გორდონ ჰერბერტმა ნაკრების კაპიტანი და მანამდე წინამძღოლი ვატო ცალ ხელზე დასათვლელი წუთებით გაიყვანა მოედანზე. დღეს ნაცვლიშვილი ისე ვერ თამაშობს, წლების მანძილზე რომ ვიყავით მისგან ჩვეულნი, თუმც ევროპაში გაბნეულ ლეგიონერთაგან არავის ჩამოუვარდება. საფრანგეთის მძლავრ ლიგაში ვატომ უკვე დაიბრუნა ძველი სახელი და „დიჟონის" შემადგენლობაში ხუთეულის გემოც გაიხსენა. გასულ კვირაში მან ორი მატჩი ითამაშა — ბოლონიურ „ვირტუსს" 19 ქულა ჩაუგდო, ხოლო „ლე ავრს" — 17. გუშინ ნაცვლიშვილს საფრანგეთში შევეხმიანეთ და ამ ამბებთან ერთად ნაკრებზეც ვესაუბრეთ...**

— გასულ კვირაში ორი საუკეთესო მატჩი ჩავატარე. ქულები ქულებად და მეტოქეები გვყავდა ძლიერი. განსაკუთრებით იტალიური „ვირტუსია" გამოსარჩევი, რომელიც ევროთასის ჯგუფში ჩვენთან მოხვდა და უკვე მეორედ მოგვიგო. „ლე ავრთან" მატჩი კი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში ახალი წლის მერე არ მოგვეგო და უიღბლო ტრადიცია დავარღვიეთ.

**— ბოლო მატჩებში ხუთეულში გამოჩნდი. არადა, სეზონის დასაწყისში მოედანზე მცირე ხნით გადიოდი ხოლმე...**

— სათამაშო დრო შიდაჩემპიონატში მომემატა, თორემ ევროთასზე ამის პრობლემა არ მქონია. რა თქმა უნდა, საერთაშორისო მატჩებში თავის გამოჩენით დავიმსახურე შიდაჩემპიონატში მეტი სათამაშო დრო და ხუთეულის ადგილი.

**— რატომ ხდებოდა, რომ ევროთასზე მეტს გათამაშებდნენ?**

— საფრანგეთის ჩემპიონატში ამერიკელ მოთამაშეებზე შეზღუდვა არაა, უფრო სწორად, 4 ოკეანგაღმელს შეუძლია თამაში, ევროთასზე კი მხოლოდ ორს. ასე რომ, კონკურენცია ნაკლები იყო და მეტს ვთამაშობდი.

**— სამწუხაროდ, ევროთასის სარბიელს „დიჟონი" მალე დაემშვიდობება...**

— მართალია და ეს ჩემთვის განსაკუთრებით არასასიამოვნოა. ამ ტურნირში თამაში ჩემზე ეწყობოდა. წამყვანი ფიგურა მე ვიყავი და, ცხადია, ვისურვებდი, ჯგუფიდან გავსულიყავით... ერთი თამაში კი დაგვრჩა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი აღარ გვაქვს. ბოლოსწინა ტურში დასანანად წავაგეთ ესპანურ „ხირონასთან", რაც მსაჯების ნამუსზეა.

**— ისე, მაგ ჯგუფიდან გასვლა გმირობის ტოლფასი იქნებოდა...**

— დიახ, „ვირტუსი" იტალიის წამყვანი გუნდია, „ხირონა" კი ესპანურ პრიმერადივიზიონში ლიდერთა შორისაა. ჩვენი დანაშაული ის იყო, რომ პირველ ჯგუფურ ეტაპზე დავიკავეთ მეორე ადგილი და ასეთ ძლიერ გუნდებთან მოვხვდით. არადა, პირველ ადგილზეც შეგვეძლო გასვლა, ისრაელში დასანანი მატჩი რომ არ წაგვეგო „ნაჰარიასთან". ერთი თამაშიც და ევროსარბიელს გამოვეთხოვებით, თუმც მაინც მოვასწარი ჩემი ძალის დამტკიცება და დღეს უკვე საფრანგეთის ჩემპიონატში საკმარისად ვთამაშობ.

**— საფრანგეთში ახალი წლის შემდეგ პირველად ვიმარჯვეთო და ჩავარდნა რისი ბრალი იყო?**

— გუნდში ცვლილებები მოხდა. ვინც არ იყო ღირსი, გაუშვეს, 3 ახალი მოთამაშე მოვიდა და ბოლომდე ჯერაც არა დავლაგებულვართ. ეს ხუთეულიც ჯერჯერობით პირობითია, მაგრამ ასე თუ ვითამაშებ, არ მგონია, ჩემს პოზიციაზე ვინმემ მაჯობოს. ორ დღეში საფრანგეთის ეგრეთ წოდებულ „ასთა თასში" ჩავებმებით და იმედი მაქვს, იქაც დავამტკიცებ ჩემს შესაძლებლობებს.

**— ეგ თასი „დიჟონმა" 2 წლის წინ მოიგო, როცა გუნდის უპირველესი ლიდერი შენ იყავი...**

— მაგ ტიტულის მოგება ერთ-ერთი ყველაზე ტკბილად მოსაგონარი ამბავია ჩემს კარიერაში. ახლა იმავეს გამეორების ძალიან მცირე შანსი გვაქვს, მაგრამ მაინც ვეცდებით. ისე, ამ ტურნირში რომ მოვხვდით, უკვე დიდი მიღწევაა. პირველი წრის 8 საუკეთესო გუნდი ითამაშებს და იქ მხოლოდ რჩეულები იქნებიან.

**— არ იქნება, ნაკრებზეც არ გკითხო: ასეთი წარმატებული თამაშით გორდონ ჰერბერტისგან ალბათ უფრო მეტ ნდობას დაიმსახურებ...**

— ჯერ თებერვალია და არ ვიცი, როგორ ფორმაში ვიქნები სანაკრებო თამაშებისთვის. თუ სეზონს წარმატებულად დავასრულებ, იმედია, მწვრთნელი ამას გაითვალისწინებს. გასულ თამაშებში ვერ ვიყავი ხათანადო დონეზე და რა უნდა მექნა, ახლა კი აშკარად მეტს ვიმსახურებ. ვნახოთ, რა იქნება.

**— არ თვლი, რომ გასულ მატჩებში მეტ სათამაშო დროს იმსახურებდი?**

— არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ჰერბერტმა იმიტომ გამიყვანა მოედანზე, რომ ანგარიში გაუწია გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს. ხოლო იქ, სადაც გულშემატკივარი არ გვყავდა, ფინეთსა და ავსტრიაში, თითქმის არ მითამაშია.

**ირაკლი პერტაია**

# ევროლიგა

### მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა

# თექვსმეტი ოთხზე გაიყო

**ევროლიგის** პირველ ჯგუფურ ეტაპზე ნაყოჩაღები გუნდები გუშინწინ ბარსელონაში ახლებურად გაანაწილეს. ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის 16 საუკეთესო გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდა. კენჭისყრის ერთ-ერთი მთავარი პირობა ის იყო, რომ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ერთად არ უნდა მოხვედრილიყვნენ.

არც მოხვდნენ და, შესაბამისად, მეტ-ნაკლებად ტოლფასოვანი ჯგუფებიც შედგა. თამაშები 14 თებერვლიდან გახურდება და გუნდები ორ წრეს ჩაითამაშებენ. თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო მეოთხედფინალში გავა და პლეი ოფის სისტემით, „შინ და გარეთ" თამაშებით, ოთხი საუკეთესო გამოვლინდება. ეს აპრილში მოხდება, ხოლო მაისის დასაწყისში ათენის ოლიმპიურ დარბაზში ევროლიგის საგვირგვინო ჯახები, ოთხთა ფინალი გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

**D ჯგუფი**

ტაუ (ვიტორია, ესპანეთი)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
პო ორტეზი (პო, საფრანგეთი)
რომა (რომი, იტალია)

**E ჯგუფი**

ცსკა (მოსკოვი, რუსეთი)
ოლიმპიაკოსი (ათენი, საბერძნეთი)
ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი)
პარტიზანი (ბელგრადი, სერბეთი)

**F ჯგუფი**

პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)
ბარსელონა (ესპანეთი)
ეფესი (სტამბოლი, თურქეთი)
პროკომი (სოპოტი, პოლონეთი)

**G ჯგუფი**

დინამო (მოსკოვი, რუსეთი)
ბენეტონი (ტრევიზო, იტალია)
უნიკახა (მალაგა, ესპანეთი)
არისი (ათენი, საბერძნეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დეივი შემოუშაკუნდა
## ნბა-ს დიდი ჩრდილი დაეცა

5 თებერვალი

**ატლანტა 83:90 ლეიკერსი**

**ატლანტა:** ლუ (8), ჯონსონი (27), მ. უილიამსი, სმიტი (20 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), რაიტი (2); **ფაჩულია** (26 წუთი, 14 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი), ჩილდრესი (11), შ. უილიამსი (1), კლაქსტონი, აივი

**ლეიკერსი:** პარკერი (3), ბრაიანტი (27), რადმანოვიჩი (7), ოდომი (15 ქულა, 18 მოხსნა, 6 პასი), ბინამი (14 ქულა, 10 მოხსნა); ტურიაფი (8), ფარმერი (6), ევანსი (6), ვუიაჩიჩი (4)

**დენვერი 108:113 ფინიქსი**

**დენვერი:** ენტონი (31 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), ილარიო (27), სმიტი (18)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (36 ქულა, 13 მოხსნა), ბარბოსა (20), მერიონი (19)

**მაიამი 113:93 შარლოტი**

**მაიამი:** ვეიდი (27 ქულა, 12 მოხსნა), ონილი (22), ქუინი (14), კაპონო (13)

**შარლოტი:** ფელტონი (20), ოკაფორი (19 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (19)

**ფილადელფია 100:98 ნიუ ჯერსი**

ძირითადი დრო 88:88

**ფილადელფია:** იგუდალა (23 ქულა, 15 პასი, 7 მოხსნა), მილერი (18), დალემბერტი (14 ქულა, 17 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (23 ქულა, 10 მოხსნა), პაუსი (15), კიდი (14 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

**საკრამენტო 105:99 ნიუ ორლეანი**

**საკრამენტო:** არტესტი (21), ბიბი (19)

**ნიუ ორლეანი:** პოლი (24, მეისონი (17)

**ჰიუსტონი 105:77 მინესოტა**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (32), ჰოვარდი (20), ჰედი (20)

**მინესოტა:** გარნეტი (18 ქულა, 12 მოხსნა), ფოი (13)

**ინდიანა 98:113 გოლდენ სტეიტი**

**ინდიანა:** ონილი (24 ქულა, 11 მოხსნა), ტინსლი (22 ქულა, 10 პასი), დანლივი (11 ქულა, 13 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** ჯექსონი (36), ელისი (21 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი 118:108 სიეტლი**

**ვაშინგტონი:** ბატლერი (38), ჰეივუდი (20 ქულა, 11 მოხსნა), არენასი (16)

**სიეტლი:** ალენი (29), უილკოქსი (24 ქულა, 10 მოხსნა), რიდნორი (13)

**იუტა 100:95 ჩიკაგო**

**იუტა:** ოქური (20), ფიშერი (19), უილიამსი (18 ქულა, 13 პასი)

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (26), დენგი (23)

ვერ გეტყვით, მარკ ვუდსონსა და ზაზა ფაჩულიას შორის შავმა კატამ გაირბინა, თუ თეთრმა ყვავმა გაიფრინა. ერთი რამაა ცხადი — „ატლანტას" თავკაცი ძველებურად აღარ ენდობა ქართველ ცენტრს და გარდა იმისა, რომ მის სასტარტო ხუთეულში დაბრუნებას არ ჩქარობს, არც სათადარიგოთა სკამიდან აყენებს დამაკმაყოფილებელი დროით. ამ დროს კი გუნდის ბეხრეკ ცენტრ ლორენცენ რაიტს ლამისაა, თან გადაჰყვეს.

რაიტმა — გაგეცინებათ და — კვლავ 2 ქულა გააკეთა 15 წუთში და კიდევ უფრო მეტად გაგეცინებათ, ბოლო 9 თამაშში მეშვიდედ გააკეთა 2 ქულა. იმ დარჩენილ ორში რამდენი ჰქონდა, აღარ იკითხავთ? რამდენი და არც ერთი.

ზაზამ კი მშვენივრად დაიწყო, რამდენიმე წუთში სკამიდან ჩაერთო თამაშში და პირველი მეოთხედის დარჩენილ დროში 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა გააკეთა, მაგრამ მეორე 12-წუთეულში ვუდსონმა აღარ ინება თავისი საუკეთესო ცენტრის სკამიდან აყენება და „ლეიკერსის" ორმა მეფარემ — ბინამმა და ოდომმა გუნდი 12 ქულით დააწინაურეს, ტაიმი კი 9 ქულით მოაგებინეს.

„ატლანტა" მეორე ტაიმში ბევრს ეცადა, მაგრამ ეს ჩამორჩენა ვეღარ აღმოფხვრა, „ლეიკერსი" თავდაჯერებით იცავდა თავს და გეგმაზომიერად მიგორავდა მორიგი გამარჯვებისკენ. მასპინძლებს არც ფინალური შტურმი გამოუვიდათ — მანამდე ცოტა ინერტულად მოთამაშე კობი ბრაიანტმა ბოლო მეოთხედში 11 ქულა მიახმარა „ლეიკერსს".

საბოლოოდ ფაჩულიას 14 ქულა მოუგროვდა მხოლოდ 26 წუთში და ვინ იცის, რამდენს მოიხვეჭდა და რა გავლენას მოახდენდა თამაშზე, ვუდსონს ცოტა მეტი ხნით რომ დაეტოვებინა ფიცარნაგზე.

მორიგი მარცხი იწვნია აივერსონდამტვრეულმა „დენვერმა". კოლორადოელებს ამჯერად მძლავრი ცენტრი მარკუს კემბიც აკლდათ, რაც პირველიდან ბოლო წუთამდე ეტყობოდათ — „ფინიქსის" ცენტრმა ამარე სტუდემაიერმა პირდაპირ ამოავსო მათი კალათი.

სათქმელია, რომ „ფინიქსმაც" მოისაკლისა დიდვარსკვლავი. არიზონელთა ლიდერმა მეორე მეოთხედში იდაყვი იტკინა და თამაშს გამოეთიშა. „დენვერმა" შემწვრის სუნი იგრძნო და კიდევ უფრო მძლავრად ათამაშდა. ოლ სტარს გარეთ ზედიზედ მეოთხედ დარჩენილმა კარმელო ენტონიმ 31 ქულას სამმაგი დუბლისთვის საჭმყოფი მოხსნა-პასებიც მოაყოლა, მაგრამ გამარჯვება მაინც „ფინიქსმა" წაიღო.

ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა ორი ოლსტარელის — ჯეისონ კიდის და ვინს კარტერის მყოლი „ნიუ ჯერსი", რომელსაც ამჯერად ანდრე იგუდალას და მასზე ნაკლებად ცნობილი მოთამაშეების ანაბარა დარჩენილმა „ფილადელფიამაც" კი აჯობა. ამ იგუდალამ 23 ქულას კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 15 პასიც მოაყოლა.

სამაგიეროდ, ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო და სატურნირო პოზიცია გვარიანად გაიუმჯობესა „მაიამი ჰითმა". ჩემპიონებს აშკარად დაეტყოთ ახალგამოჯანმრთელებული შაკილ ონილის მძიმე ხელი. სხვებიც უფრო ხალისიანად ბურთაობენ. როგორც ჩანს, დევშაკის ზურგს უკან თავს მყუდროდ და დაცულად გრძნობენ. ორშაბათს „შარლოტთან" ერთბაშად ექვსმა მაიამელმა გააკეთა 10 და მეტი ქულა. თავად შაკს 21 წუთში 22 მოუგროვდა.

ძოტე ყორშია



| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | |
| ტორონტო | 25 | 23 | 52,1 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 27 | 44,9 |
| ნიუ იორკი | 21 | 28 | 42,9 |
| ფილადელფია | 16 | 33 | 32,7 |
| ბოსტონი | 12 | 34 | 26,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 28 | 18 | 60,9 |
| ჩიკაგო | 28 | 21 | 57,1 |
| კლივლენდი | 27 | 21 | 56,3 |
| ინდიანა | 26 | 22 | 54,2 |
| მილუოკი | 18 | 30 | 37,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 28 | 19 | 59,6 |
| ორლანდო | 25 | 23 | 52,1 |
| მაიამი | 23 | 25 | 47,9 |
| ატლანტა | 18 | 29 | 38,3 |
| შარლოტი | 18 | 30 | 37,5 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 39 | 9 | 81,3 |
| სან ანტონიო | 32 | 16 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 30 | 17 | 63,8 |
| ნიუ ორლეანი | 21 | 27 | 43,8 |
| მემფისი | 12 | 36 | 25,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 32 | 17 | 65,3 |
| დენვერი | 23 | 23 | 50,0 |
| მინესოტა | 22 | 26 | 45,8 |
| პორტლენდი | 20 | 29 | 40,8 |
| სიეტლი | 17 | 31 | 35,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 38 | 10 | 79,2 |
| ლეიკერსი | 30 | 19 | 61,2 |
| კლიპერსი | 24 | 23 | 51,1 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 26 | 46,9 |
| საკრამენტო | 20 | 26 | 43,5 |

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი
**დუეინ ვეიდი (მაიამი)**

## დასავლეთი
**მეჰმეთ ოქური (იუტა)**





გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ აღმოსავლეთში დუეინ ვეიდი, დასავლეთში კი მეჰმეთ ოქური დაასახელა.

გადასარევი კვირა ჰქონდა ოქურს. თურქმა ცენტრმა „იუტა ჯაზს" საუკეთესო მექულის და მომხსნელის კარლოს ბუზერის არყოფნა არ დაატყო და სამივე თამაში მოაგებინა. მერე რა მეტოქეებთან! ამ სამიდან ორი დასავლელი გოლიათია — „სან ანტონიო" და „ფინიქსი". პირველთან შინაურ ჯახში ოქურმა 31 ქულა გაახერხა, მეორესთან გასვლისას კი 29 ქულას 12 მოხსნაც მიაყოლა. „იუტას" 211-სანტიმეტრიან მეფარეს თამაშში საშუალოდ 26,0 ქულა და 11,3 პასი მოუგროვდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია აღმოსავლელი რჩეულის საიმკვირაო სტატისტიკა — 3 თამაშში საშუალოდ 33,7 ქულა, 7,3 პასი, 6,0 მოხსნა და 3,0 ჩაჭრა. ვეიდი ახლა მარტო აღარ ებრძვის მეტოქე გუნდებს, შაკილ ონილი გამოუჯანმრთელდა და მასთან ერთად თავს უფრო ხალვათად და ხალისიანად გრძნობს.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** დერონ უილიამსი (იუტა), დუეინ ვეიდი (მაიამი), ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), კრის ბოში (ტორონტო), მეჰმეთ ოქური (იუტა)

# აქვს და იგებს
## ბარკლიმ კაზინოდან 700 000 ამოიღო



ჩარლზ ბარკლის როხროხი ლას ვეგასიდანაც ისმის. კაზინოთა ქალაქში 18 თებერვალს გასამართი ყველა ვარსკვლავის შოუმატჩი აქ არაფერ შუაშია. ნბა-ს 80-90-იანი წლების სუპერვარსკვლავი, შემდეგ კი საკალათბურთო კომენტატორი და პოლიტიკაშიც კი შეტოპილი სერ ჩარლზი ისედაც ხშირად სტუმრობს ნევადის უდაბნოში აფეთქებულ აზარტის ოაზისს და ახლა მისი მოგების თანხმლები შეძახილი შორს გასცდა შტატის საზღვრებს. ბარკლის ამ უქმეებზე 700 ათასი მოუგია. მას ჯერ „ბლექ ჯეკში" გაუმართლა, შემდეგ კი ბარკლიმ იქ მოგებული ფული მთლიანად დადო სუპერბოულის (ამერიკული ფეხბურთითს პლეი ოფის ფინალი) მონაწილე ერთ გუნდზე „ინდიანაპოლის კოლტსზე". „ინდიანაპოლისმა" „ჩიკაგოს" 29:17 მოუგო და ბარკლიმაც დიდძალი ფული ჩაიჯიბა.

მაგრამ სერ ჩარლზს ყოველთვის როდი უმართლებს. ამბობს, სულ ამ კაზინოებში ხეტიალში დაახლოებით 10 მილიონი გამვარდნია, აქედან 2,5 მილიონი კი ერთ დაჯდომაზე, 6 საათში წავაგეო.

აქვს და აგებს (იგებს) კიდეც.

# დევისის თასი 2007
## საქართველო – პორტუგალია. 9-11 თებერვალი

DAVIS CUP BNP PARIBAS




ჩიხლაძის მოლოდინში მყოფმა ქართველებმა და პორტუგალიელებმა ერთმანეთი დაზვერეს

# სტუმრებმა ჩიხლაძეს დაასწრეს
## ლადო ნაკრებს დღეს შეუერთდება

**საქართველოს** ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის წლევანდელი გათამაშების პირველი რაუნდისთვის მზადებას სპორტის სასახლეში აგრძელებს. 9-11 თებერვალს ამ დარბაზში გაშლილ ხალიჩაზე ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის შეხვედრაში გელა ელერდაშვილის გუნდი პორტუგალიას დაუპირისპირდება და გამარჯვების შემთხვევაში ზონაში ყოფნას სულ მცირე, ერთი წლით გაიხანგრძლივებს, თან ელიტ-ჯგუფისკენ ერთ ნაბიჯს გადადგამს.

თადარიგი პორტუგალიელებმაც რომ ადრიანად დაიჭირეს და წინასამატჩოდ თბილისს ლამის ერთი კვირით ადრე ესტუმრნენ, უკვე დავწერეთ. გუშინ სტუმარ-მასპინძელთა კაპიტნებმა მატჩის იტალიელ კომისართან ერთად სავარჯიშო საათებიც დაინაწილეს და სასახლის დარბაზს დილა-საღამოს ორ-ორი საათით ესტუმრნენ. სავარაუდოდ, ორჯერადი ვარჯიშები ხუთშაბათამდე გაგრძელდება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ბოლომდე ვერც გუშინ შეივსო. ელერდაშვილის თქმით, ლადო ჩიხლაძე თბილისში დღეს დილით ჩამოვა, გუნდს კი საღამოს ვარჯიშზე შეუერთდება. ჩიხლაძის არყოფნაში გუშინ ირაკლი ლაბაძესთან, გიორგი ჭანტურიასთან და გიორგი ხრიკაძესთან ერთად ჭაბუკმა ნიკა ქურდაძემ ივარჯიშა.

მოსამზადებელი დრო ისე გადანაწილდა, ქართველები და პორტუგალიელები კორტზე მონაცვლეობით შედიოდნენ და ცხადია, ერთმანეთის თამაშსაც გულდასმით უცქერდნენ. მომავალ მეტოქეთა შესაძლებლობებზე რომ დავეკითხეთ, ინფორმირებულები მხოლოდ ხრიკაძე და ჭანტურია აღმოჩნდნენ, ნაკრების ყველაზე უმცროსი წევრები თავიანთ კბილა პედრო სოუზასა და გასტონ ელიაშს იცნობენ. ჭაბუკთა პირველობებზე არაერთხელ გადაჰყრიან და ეგებ თბილისშიც მოუწიოთ დაპირისპირება.

მომავალ თამაშებში ელერდაშვილი შარშანდელივით ლაბაძე-ჩიხლაძის დატვირთვას რომ აპირებს, ცხადია. კაპიტანმა ამის შესახებ პირდაპირაც გვითხრა და იქვე დასძინა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მესამე-მეოთხე ნომრებს შანსი არ რჩებათო. საამისოდ საქართველომ გუნდური გამარჯვება ვადაზე ადრე უნდა მოიპოვოს და თუ შაბათს უკვე სამქულიანი სხვაობით დაწინაურდა, კვირის ორი შეხვედრა ალბათ ორი გიორგის შანსი გახდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ჯერ პორტუგალია, მერე ოპერაცია
## ირაკლი ლაბაძე ცალი ხელით სათამაშოდ ემზადება

ირაკლი ლაბაძე წლეულს კორტზე ერთხელაც არ გასულა. უძლიერესმა ქართველმა ჩოგბურთელმა შარშანდელი უიმბლდონის ლია პირველობის შემდეგ მხოლოდ ერთ ტურნირზე ითამაშა. ეს ნოემბერში იყო. მას შემდეგ კი ლაბაძე დროს მხოლოდ ვარჯიშში ატარებს. მიზეზი სპორტსმენისთვის ლამის ქრონიკულად ქცეული ხელის ტრავმაა. ოთხ დღეში ირაკლი ავსტრიაში გაემგზავრება და საოპერაციოდ გაემზადება. იქამდე კი საქართველოს ნაკრებს დევისის თასზე პორტუგალიის ნინააღმდეგ თამაშში დაეხმარება. ამ ტურნირში რომ განსაკუთრებით ყოჩაღობს, სტატისტიკიდან ჩანს — ერთეულთა 15 შეხვედრიდან 13-ჯერ გამოვიდა კორტიდან გამარჯვებული. წინასაპორტუგალიო ინტერვიუ გუშინ, საღამოს ვარჯიშზე ჩავწერეთ



— ბოლო ტურნირი ნოემბერში უკრაინაში ვითამაშე. მას შემდეგ კი ტრავმამ არა და არ მომცა კორტზე გასვლის საშუალება.

**— კონკრეტულად რა ტრავმაა?**

— მარჯვენა მაჯა მაწუხებს. რვა წლის რომ ვიყავი, მაშინ მოვიტეხე. მას შემდეგ რამდენიმეჯერ შემახსენა თავი, მაგრამ ყოველთვის თერაპიულად ვმკურნალობდი. ჩვიდმეტი წლისას სულაც ნახევარი წელი გამატარებინა უქმად. ახლა კი თერაპიაც აღარ მშველის. ექიმების თქმით, სითხეა ჩამდგარი და ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. ასე რომ, თუ ოპერაცია არ გავიკეთე, უფრო ხანგრძლივი შესვენება მომიწევს.

**— დევისის თასზე თამაშს მაინც აპირებ. ტრავმა ხელს არ შეგიშლის?**

— ალბათ შეამჩნევდით, მარჯვენა ხელს საერთოდ არ ვტვირთავ. მარტო მარცხენათი ვთამაშობ, იმედია, ეს პრობლემა წარმატებულ თამაშში ხელს არ შემიშლის.

**— პრობლემას ალბათ სწრაფი კორტი კიდევ უფრო გაართულებს...**

— რა თქმა უნდა, მაგარ საფარზე განსაკუთრებით ძნელია ცალი ხელით თამაში. მიღებაზე შეცდომის ალბათობა გაცილებით მაღალი იქნება. ვეცდები, ეს პრობლემა მეტი სირბილით და აგრესიული თამაშით გავანეიტრალო. არ გამოვრიცხავ, მომენტებში უფრო მეტადაც გავრისკო, ვიდრე სხვა დროს.

**— ვარჯიშზე გამოჩნდა, რომ მარტო მარცხენათიც კარგად გამოგდის თამაში. მზადებას მაინც აგრძელებდი?**

— სავარჯიშო პროცესში ტრავმას არანაირად არ შევუფერხებივარ. ნორმალურ ფორმაში ვარ. ჩემი აზრით, უკეთესშიც, ვიდრე შარშან, სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ თამაშისას.

**— წონაშიც აშკარად დაკლებული ჩანხარ...**

— ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ტრავმაა. ცალი ხელით თამაშის გამო ჩემდაუნებურად სტილი შევიცვალე. კორტზე მეტი მოძრაობა მიწევს, ვიდრე ადრე.

**— სტუმრების აზრით, სწრაფი საფარი მასპინძელთა წისქვილზე ასხამს წყალს. ეთანხმები?**

— ამ მხრივ უპირატესობა მართლაც ჩვენს მხარეს უნდა იყოს, თუმცა მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ყველაფერი კორტზე გამოჩნდეს.

**— მომავალი მეტოქეებიდან რომელიმეს ხომ არ იცნობ?**

— ვიცი, რომ პორტუგალიელების პირველი ნომერი მსოფლიოს რეიტინგის ასორმოცდაათეულთან ტრიალებს, მაგრამ მისი თამაში არასოდეს მინახავს.

**— ამ თამაშების შემდეგ რა გეგმები გაქვს?**

— ორშაბათს ავსტრიაში დავბრუნდები და ოპერაციას გავიკეთებ. ეს უკვე იქაურ ექიმებთანაც შევათანხმე. კონკრეტულ თარიღს ჩასვლისთანავე დავნიშნავთ.

**— კორტზე დაბრუნებას როდისლა შეძლებ?**

— წინასწარი ვარაუდით, სარეაბილიტაციო პერიოდი სამ თვეს გასტანს. ჯობს, პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვარო და კარიერას მერე მივხედო.

**— ბოლოს ისევ დევისის თასს მივუბრუნდეთ. შეძლებთ პორტუგალიის დამარცხებას?**

— ამის იმედი რომ არ მქონდეს, კორტზე არც გავიდოდი. აუცილებლად უნდა მოვიგოთ, პირველ ზონაში ადგილი აქედანვე გავინაღდოთ და უფრო ძლიერ მეტოქესთან სათამაშოდ მოვემზადოთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# კვალიფიკაციიდან კლასიფიკაციაში
## სოფო ქვაცაბაია ძირითად ბადეშია და რეიტინგს იბრუნებს

**საკმაოდ** ხანგრძლივი უქმობის შემდეგ საქართველოს ყოფილი ჩემპიონი სოფო ქვაცაბაია კვლავ დაუბრუნდა საერთაშორისო ასპარეზს და ამ დღეებში ესპანეთში, კერძოდ კი, მალიორკაში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიან ტურნირში მონაწილეობს.

ქვაცაბაია, ვინც გასული შემოდგომის აქეთ აღარ ფიგურირებს WTA-ს რეიტინგში, ბუნებრივია, ძირითად ბადეში არ იყო, მაგრამ ქართველმა ბალეარულ გრუნტზე მაინც მოახერხა ძირითად ტურნირში მოხვედრა — საკვალიფიკაციო ეტაპზე სოფომ ერთმანეთის მიყოლებით სამი მეტოქე ჩამოიცილა — ბრიტანელ ები პრობერტს 6:2 6:2 მოუგო, ბელგიელი ფლორენს დე ვრიე 6:4 6:2 დაჯაბნა და ბოლოს 7:6 6:3 დაამარცხა ესპანელი კრისტინა ბალა-აბელა.

როგორც ვხედავთ, ქვაცაბაიამ საკვალიფიკაციო ბარიერი სეტის წაუგებლად დაძლია და იმედია, ძირითად ტურნირშიც წარმატებით ითამაშებს და ქალთა კლასიფიკაციაშიც დაიბრუნებს ადგილს. პირველ წრეში სოფოს მტეოქედ ესპანელი კაროლინა პრატსი ეყოლება და, თუ მოუგებს, მეორე წრეში მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ ტატიანა პიაჩინსა და ესპანელ ბეატრის ვალკავა დე ლანს შორის უძლიერესს შეხვდება.

კიდევ ერთი ქართველი ნათია გაგია პირინეის ნახევარკუნძულის მეორე ქვეყანაში, პორტუგალიაში თამაშობდა და ვალე დე ლობოს ჰარდზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას ასევე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა.

სამწუხაროდ, ნათიამ ვერ შეძლო ამის გაკეთება — პირველ წრეში ფრანგ დიანა შეიმილს 6:2 6:3 კი მოუგო, მაგრამ მერე რუს ირინა კოტკინასთან სამ სეტში 6:4 4:6 0:6 დამარცხდა და ამით პორტუგალიაში თამაში დაასრულა.



სოფო ქვაცაბაია

# მოდი, უარდენო ენინი ვნახოთ



ქალები
პარიზი. საფრანგეთი.
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

ამ უქმეებზე გასამართი დევისის თასის მატჩების გამო მიმდინარე კვირა სატურნირო თვალსაზრისით საკმაოდ მწირი გამოვა. — ერთადერთი ნათელი წერტილი პარიზის ტურნირი იქნება, რომელიც საპრიზო ფონდის სოლიდურობითაც დაიკვეხნის და ჩოგბურთელთა მეტად წარმომადგენლობითი შემადგენლობითაც.

თუნდაც ის რად ღირს, რომ წლეულს პირველად ვიხილავთ კორტზე ჟუსტინ ენინს, ოღონდ ამჯერად ყოველგვარი არდენის გარეშე — ჭინკა ბელგიელმა ხომ სეზონის პირველი სლემტურნირი ქმართან გაყრის გამო გამოტოვა და ამიერიდან ისევ მხოლოდ ენინი იქნება.

ასეა თუ ისე, ენინს გამადიდებელი შუშით დაუწყებენ ყურებას, რადგანაც ყველას აინტერესებს, თუ რამდენად აისახება პირადი პრობლემები თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეჩოგნის თამაშზე. ამდენად, ჭინკა ბელგიელს არცთუ სახარბიელო კვირა ელის — ამ მიზეზით ყურადღების ცენტრში აღმოჩენა ხომ არავის ახარებს.

უკვე ცნობილია ენინის პირველი მეტოქის ვინაობა. ეს „პატივი“ მასპინძელ ემილი ლუას ერგო, რომელსაც საამისოდ ბერძენ ელენი დანილიდუსთან სამსეტიანი უმძიმესი ორთაბრძოლის გადალახვა მოუხდა.

ტურნირის წარმომადგენლითობას კი აქ განთესილთა ჩამონათვალით დავამტკიცებთ. პირველი თავისთავად ენინია, მას მოჰყვებიან: ამელი მორესმო (2), სვეტლანა კუზნეცოვა (3), ნადია პეტროვა (4), ნიკოლ ვაიდიშოვა (5), პატი შნიდერი (6), დინარა საფინა (7), ანა ჩაკვეტაძე.

ამ სიას კიდევ ორი-სამი ბობოლა რომ დამატებოდა, რომელიმე სლემტურნირი გეგონებოდათ. ასე რომ, პარიზში ბლომად დაძაბული ჯახები შედგება და მაყურებელიც უმაღლესი დონის ჩოგბურთით დატკბება. ამასთანავე ადგილობრივები იმედოვნებენ, რომ შარშანდელის მსგავსად თანამემამულის ტრიუმფს ნახავენ — ერთი წლის წინ ხომ აქ მორესმომ აღმართა თასი. ისე, ამ ალქაჯს დასამტკიცებელი ექნება, რომ მელბურნ-პარკის ნაადრევად დატოვება შემთხვევითობა იყო და წლეულსაც უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა ხელეწიფება.

მოკლედ, ამ კვირაში მოსაწყენად მაინც არავის ეცლება.

**ბაჩა ლომაშვილი**

# დუპლეტი, კიდევ დუპლეტი

## ქსავიე მალისი წყვილად ისვრის

კაცები
დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი.
საპრიზო 416 000 $

**ფინალი**

**ქსავიე მალისი** (3, ბელგია) — ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — 5:7 6:4 6:4

მაინც რამდენი ჩამოვიდოდა ფსონს ქსავიე მალისის გამარჯვებაზე? კვირას, ჯეიმს ბლეიკის თამაშის შემხედვარე, ამას ცოტა ვინმე თუ გაბედავდა, მაგრამ... გასულ კვირაც არაერთხელ ვთქვით, რომ მალისს რატომღაც ძალიან კარგად გამოსდის დელრეი ბიჩში ჩოგნაობა და ამის დასტურად ბელგიელის წინა ოთხი ფინალიც გამოდგება.

როგორც აღმოჩნდა, მალისს კარგ თამაშთან ერთად ამ ამერიკულ კურორტზე ბუნების ძალებიც სწყალობენ — კვირას რომ არ ეწვიმა, ბლეიკი აუცილებლად თავის სასარგებლოდ მოამთავრებდა საქმეს. თუმც გაწვიმდა და თამაში ორშაბათისთვის გადაიდო, რაც შავტუხა ამერიკელისთვის საბედისწერო აღმოჩნდა — ძნელი სათქმელია, თვითონ იანკი ადგა მარცხენა ფეხზე, თუ მალისმა გადაწყვიტა მტკიცედ, რომ საკარიერო მეორასე გამარჯვებას მაინდამაინც აქ მოიპოვებდა. ფაქტია, რომ ორშაბათს ბელგიელი მთელი მატჩის განმავლობაში ადვილად პოულობდა მეტოქის სუსტ წერტილებს და მათ იდეალურადაც იყენებდა. მოკლედ, გასული კვირის ტრადიცია არ დაირღვა და აქაც მასპინძელი დარჩა გაწბილებული — ერთი დღით ადრე ხომ ბლეიკის ბედი ივან ლიუბიჩიჩმა ზაგრებში, ნიკოლას მასუმ კი ვინა დელ მარში იწვნიეს. მალისმა კი დელრეი ბიჩში მეორედ იზეიმა გამარჯვება.

ისიც სათქმელია, რომ ბელგიელის წარმატებები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა. მალისმა დუბლად გაისროლა, რადგანაც ამერიკელ ჰუგო არმანდოსთან ერთად წყვილთა ტურნირზეც იმარჯვა. წლეულს ეს ბელგიელისთვის მეორე დუბლია, რადგანაც მან სეზონის დასაწყისში ინდურ ჩენაიშიც იხეირა როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში. ბოლო კი, ვინც ამდაგვარი დუბლები ერთ წელიწადში ორჯერ გაახერხა, ევგენი კაფელნიკოვი იყო — 1996 წელს ჟენიამ პრაღასა და "როლან გაროსზე" გამოიჩინა თავი.



„აქ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და ამის გამო ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ვთამაშობ. ამ კორტებს მაგრად შევეჩვიე. დღეს კი ისიც დამეხმარა, რომ ქარის გამო ბლეიკის ძლიერი დარტყმები ნაკლებად სახიფათო იყო და არ მიჭირდა მათი მოგერიება. ისე კი, გუშინ რომ არ ეწვიმა, უეჭველად წავაგებდი“ — გულახდილობის ხასიათზე იყო გამარჯვებული ნამატჩევს.

**ბაჩა ლომაშვილი**





# ფერარის გულით და დიდი გულით

**აუტსაიდერი** საპირველფორმულო გუნდი „სპაიკერი“ ახალი სეზონის წინ იმედიანადაა, თვით „ფერარის“ ძრავები გვედგმება და ვიყოჩაღებთო. ყოჩაღობაში ალბათ ორიოდე ქულის მოპოვება იგულისხმება, რადგან ამ საჯინიბოს შარშანდელმა წინამორბედმა, „მიდლენდ ფორმულა 1“-მა ჩემპიონატი ნულოვანი „მიღწევით“ ჩაამთავრა.

და რა გასაკვირია, რომ „ბალასტის“ მფლობელმა, რუსული წარმოშობის კანადელმა მილიარდერმა ალექს შნაიდერმა უხეირო ბიზნესი სიამოვნებით მოიცილა თავიდან.

მყიდველი ცნობილი ჰოლანდიური კომპანია „სპაიკერია“ და, ბუნებრივია, ახალ მოდელსაც „სპაიკერ-ფერარი FW8“ ერქმევა.

შარშანდელი ნულქულიანი უხეირობის მიუხედავად, კრისტიან ალბერსმა გუნდში ადგილი შეინარჩუნა. 27 წლის ჰოლანდიელს პორტუგალიელ ტიაგო მონტეიროს სანაცვლოდ 24 წლის გერმანელი ახალბედა ადრიან სუტილი შეუწყვილეს, რომელიც შარშან გუნდის ტესტ-მძღოლი იყო და იმავდროულად ფორმულა 3-ის იაპონური სერიის ჩემპიონობაც მოიპოვა.

მოკრძალებული პრეზენტაცია საჯინიბოს ბაზაზე, სილვერსტოუნში შედგა. საზოგადოებას, ბუნებრივია, წარუდგინეს ახალი მრბოლ-ბოლიდიც და ახალი გეგმებიც გააცნეს. ბოსობას ეიმედება, რომ ფინანსურად ჯანიან „სპაიკერის“ მისვლით ტექნიკური დონეც გაცილებით ამაღლდება და შედეგიც სასურველი იქნება, მით უმეტეს, რომ მაჩანჩალებმა „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთი საუკეთესო ტექსპეციალისტის, მაიკ გესქოინის დასაკუთრება შეძლეს. 38 წლის ბრიტანელი, რომელიც მანამდე „ტოიოტაში“ მუშაობდა, ენთუზიაზმით შეუდგა ახალ საქმეს და წარმატების იმედიც აქვს.

**გია ახალაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

5 თებერვალი

**რეინჯერსი 3:4 დეტროიტი**

*3:1 0:0 0:3*

1:0 შენაჰენი (3), 2:0 ნიულანდერი (3), 2:1 დაციუკი (8), 3:1 ჰოსა (15), 3:2 ჰადლერი (43), 3:3 ლანგი (51), 3:4 ზეტერბერგი (53)

# რეიკროფტი, ლანგენბრუნერი, ლიდსტრომი

**სეზონის წინ** გაცემული ავანსების გამართლებას იწყებს „ტორონტოს“ ახალგაზრდა კარის დარაჯი ენდრიუ რეიკროფტი. ამ ბიჭმა აშკარად მოუმატა და „მეიპლ ლივზის“ საპლეიოფო შანსებიც ერთიორად გაიზარდა. ეს ყველაფერი არც ნჰლ-ის მესვეურებს დარჩენიათ ყურადღების მიღმა, რის შედეგადაც რეიკროფტი გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. დროის ამ პერიოდში ამ ბიჭის დახმარებით „ტორონტომ“ ზედიზედ სამი გასვლითი მატჩი მოიგო. თვითონ რეიკროფტი კი ამ შეხვედრებში საშუალოდ 1,33 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 96 პროცენტს იგერიებდა.



ენდრიუ რეიკროფტი

მეორე ვარსკვლავობა „ნიუ ჯერსის“ ძალისმიერ, მაგრამ გოლების გატანის შნოს მქონე მარჯვენაფლანგელ ჯეიმი ლანგენბრუნერს არგუნეს. "ეშმაკთა" 15-მა ნომერმა გასულ შვიდდღეულში 7 ქულა (2+5) დააგროვა.

მესამე ვარსკვლავად კი „დეტროიტის“ კაპიტანი ნიკლას ლიდსტრომი აღიარეს. ამ უკვე ლეგენდარულმა უკანახაზელმა ორ ჯეხვედრაში 6-ჯერ საგოლოდ უპასა პარტნიორებს და პირადი მონაგარი 47 ქულამდე აიყვანა, რაც ლიგის მასშტაბით მცველებში საუკეთესო შედეგია. ლიდსტრომი ასევე ლიდერია სარგებლიანობის მაჩვენებლითაც — +33-ით და მისი დამწევი არავინ მოჩანს.

**ბაჩა ლომაშვილი**

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 8120 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4775 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 2715 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2685 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2605 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2555 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2270 |
| 9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 2075 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2020 |
| 11. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1995 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1785 |
| 13. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1650 |
| 14. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1625 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1610 |
| 16. რიშარ დასკე (საფრანგეთი) | 1580 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1365 |
| 18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1335 |
| 19. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1325 |
| 20. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1320 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 200 |
| 2. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 148 |
| 3. ტომი ჰაასი (გერმანია) | 98 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 90 |
| 5. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 89 |
| 6-7. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 75 |
| 6-7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 75 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 74 |
| 9. ქსავიე მალისი (ბელგია) | 71 |
| 10-14. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სებრეთი) | 65 |
| 10-14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 65 |
| 10-14. მარდი ფიში (აშშ) | 65 |
| 10-14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 65 |
| 10-14. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 65 |
| 15. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 62 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 53 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 42 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 40 |
| 19. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 38 |
| 20. ლუის ჰორნა (პერუ) | 36 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### არე. შვედეთი. 3-17 თებერვალი



პატრიკ შტაუდახერი



AFP არქივიდან

ანია პერსონი

# იტალიური სენსაცია და ანია პერსონის პერსონალური ოქრო

**წლევანდელი** თბილი ზამთრისთვის უჩვეულო უხვთოვლობა, ქარბუქი, სამდღიანი ლოდინი და აჰა, გუშინ ჩრდილოეთ შვედეთში, როგორც იქნა, დაიწყო მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცებმაც და ქალებმაც სუპერგიგანტაში გამოავლინეს ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობა.

ლოდინი თურმე ღირდა — ჩემპიონატი სრულიად მოულოდნელი შედეგით დაიწყო — კაცთა სუპერგიგანტი მავანმა 26 წლის იტალიელმა პატრიკ შტაუდახერმა მოიგო, ვინც თავის ექვსწლიან კარიერაში, გამარჯვებას ვინ ჩივის, ერთხელაც არ მდგარა მსოფლიოს თასის რაგინდარა ეტაპის პოდიუმზე.

მსოფლიოს თასის მიმდინარე გათამაშებაში შტაუდახერი 23-ე ადგილზეა საერთო ჩათვლაში, ხოლო სუპერგიგანტში მე-18 პოზიციაზე იმყოფება და მისი გამარჯვება არანაირად არ ჯდება ლოგიკის ფარგლებში.

იტალიელმა 0,32 წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ ავსტრიელ ფრიც შტრობლს, ხოლო მესამე პრიზიორი, შვეიცარიელი ბრუნო კერნენი 0,62 წამით ჩამოიტოვა და იმ ფონზე, რომ მესამე და მეათე ადგილებს შორის სხვაობა ოდენ შვიდი მეასედი წამია, შტაუდახერის უპირატესობა უზარმაზარი ჩანს.

ფავორიტებმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინეს — შვეიცარიელი დიდიე კუშე მეოთხე იყო, ოდესღაც მრისხანე და უძლეველი ავსტრიელი ჰერმან მაიერი — მეშვიდე, მსოფლიოს თასის სარეთო ჩათვლის ნორვეგიელი ლიდერი აქსელ ლუნდ სვინდალი — მეცამეტე, ხოლო წინა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული, ამერიკელი ბოდე მილერი, ვინც კვლავ პირველობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნეოდა, სულაც 24-ე ადგილზე გავიდა.

რამდენიმე საათის შემდეგ მთელი არე და სრულიად შვედეთი ხარობდა — ჩემპიონატის მასპინძლებს სამდღიანი ლოდინი ნამდვილად დაუფასდათ — ანია პერსონი მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

როგორ უნდა მოგვიბრუნდეს ენა და ვთქვათ, რომ პერსონის გამარჯვება მოულოდნელი იყო — ანია ოლიმპიური ჩემპიონიც არის, გუშინდლამდე მსოფლიოს პირველობათა ოთხი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით იწონებდა თავს და მსოფლიოს თასის ეტაპებზე 33 გამარჯვების მომპოვებელს ორჯერ საერთო ჩათვლაში საუკეთესოს სარგო დიდი ბროლის გლობუსიც მოუგია, მაგრამ გუშინ ფავორიტად ნამდვილად არ ითვლებოდა.

მიმდინარე სეზონში პერსონი ერთხელაც არ მდგარა მსოფლიოს თასის პოდიუმზე. ასე ამბობდნენ, არაერთი ოპერაციის გადატანის შემდეგ ჯერაც შორს არის ჩვეული ფორმისგანო, მაგრამ ანია, როგორც ჩანს, სწორედ სამშობლოში გასამართი ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და ინახავდა ძალებს.

პერსონი ფავორიტი არ იყო. ასეთებად ავსტრიელი ვეტერანი რენატე გიოტჩლი და ამერიკელები — ლინდსი კილდოუ და ჯულია მანკუზო მიიჩნეოდნენ. ამ სამეულს გუშინ ცუდად არ უსრიალია — კილდოუ მეორეზე გავიდა, გიოტჩლი მესამეზე, ხოლო მანკუზე მექვსე იყო, მაგრამ მათზე წინ პერსონი აღმოჩნდა და ამით აღტაცებაში მოიყვანა თავიანთი კერპის საქომაგოდ შეკრებილი ათასეულები.

ანიამ სუპერგიგანტი ორი წლის წინ იტალიურ ბორმიოში გამართულ მსოფლიოს პირველობაზეც მოიგო და ამჯერად კი ბრწყინვალე სტილში შეინარჩუნა ტიტული. პერსონის კოლექციაში მსოფლიოს ჩემპიონატების უკვე შვიდი მედალია და ამ მაჩვენებლით ის გაუტოლდა თავის თანამემამულეს ინგემარ სტენმარკს. არეში წინ კიდევ ოთხი სახეობაა და დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანია გადაასწრებს კიდეც მთის თხილამურობის ლეგენდას.

**გია მუჯირი**

### კაცები

| სუპერგიგანტი | |
|---|---|
| 1. პატრიკ შტაუდახერი (იტალია) | 1 წთ. 14,30 წმ. |
| 2. ფრიც შტრობლი (ავსტრია) | 1.14,62 წმ |
| 3. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) | 1.14,92 |
| 4-5. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.14,93 |
| 4-5. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) | 1.14,93 |

### ქალები

| სუპერგიგანტი | |
|---|---|
| 1. ანია პერსონი (შვედეთი) | 1 წთ. 18,85 წმ. |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.19,17 |
| 3. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1.19,38 |
| 4-5. ბრიტ იანიკი (კანადა) | 1.19,44 |
| 4-5. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.19,44 |



## მსოფლიოს ჩეპიონატი
### ანტხოლც-ანტერსელვა. იტალია. 3-11 თებერვალი

# ფრანგული ჰეპიენდი
## მუსიე პუარეს ბოლო საქმე

**გუშინ** იტალიურ ანტერსელვაში, სადაც ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდება, დიდი ამბები მოხდა. დავიწყოთ იმით, რომ დამარცხდა დაუმარცხებელი ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი. ანტერსელვაში უკვე ორი ოქროს მომპოვებელმა, სულ კი რვაგზის მსოფლიოს ჩემპიონმა დიადმა ვიკინგმა 20 კილომეტრზე ინდივიდუალურ შეჯიბრში პირველივე სასროლეთზე სამი ტყვია ააცილა მიზანს და ამით ზედიზედ მესამე იტალიურ ოქროზე ფიქრი დაასრულა. ოლეს დარჩენილ საცეცხლე პოზიციებზე კიდევ სამი აცდენა დაუგროვდა და ექვსი საჯარიმო წუთით, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ყველაზე სწრაფი იყო, ოდენ 32-ე ადგილი დაიკავა.

ბიორნდალენი კიდევ მოიგებს, თუნდაც ანტერსელვაში და მეორე ნორვეგიელ ფროდე ანდერსენს კი გუშინ ისტორიული შანსი ჰქონდა, ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის მედალი მოეპოვებინა. ეს ანდერსენი ჩქარი თხილამურობითა და უაღრესად ცუდი სროლით არის ცნობილი — ოთხ სასროლეთზე მინიმუმ ხუთ-ექვს ჯარიმას იკიდებს ხოლმე და გუშინ კი ყველაფერი პირიქით მოხდა. ანდერსენმა დიდებულად ისროლა, მხოლოდ ერთი სამიზნე დატოვა ხელუხლებელი და ის ერთიც რომ გაერტყა, სულაც ჩემპიონი გახდებოდა, ისე კი უმედლოდ დარჩა — სწრაფ მოთხილამურეს, სწორედ სისწრაფემ უმტყუნა და მიუხედავად იმისა, რომ მეორე და მესამე ადგილებზე გასულებმა — გერმანელმა მიხაელ გრაისმა და ჩეხმა მიხალ შლეზინგრმა უფრო მეტი — ორ-ორი შეცდომა დაუშვეს სროლისას, ვერ შეძლო ამათი გადასწრება, წამები დააკლდა.

ჩემპიონი კი ფრანგი ვეტერანი რაფაელ პუარე გახდა. 32 წლის ფრანგმა დიდებულად ისროლა, ოცივე სამიზნე დახურა და 2004 წლის ობერხოფული ტრიუმფის შემდეგ, როდესაც სამგზის ჩემპიონი გახდა, პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება.

პუარე დისტანციაზე გრაისისა და შლეზინგრის შემდეგ და ანდერსენსა და ბიორნდალენზე ადრე გავიდა. ფინიშისას მან უკვე იცოდა, რომ გერმანელსა და ჩეხს აჯობა და ისიც იცოდა, ბიორნდალენი კონკურენტი რომ აღარ იყო. ამიტომაც არ მალავდა სიხარულს და ამ სიხარულის ფონზე განაცხადა, ეს სეზონი ბოლოა ჩემს კარიერაში და უკეთეს დასასრულს ვერ ვისურვებდიო.



რაფაელ პუარე

### კაცები

| 20 კმ ინდივიდუალური რბოლა (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 56წთ. 14,6წმ (0 აცდენა) |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 56.41,4 (2) |
| 3. მიხალ შლეზინგრი (ჩეხეთი) | 56.52,0 (2) |
| 4. ფროდე ანდერსენი (ნორვეგია) | 56.53,9 (1) |
| 5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 57.05,7 (0) |

| მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 488 ქულა |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 478 |
| 3. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 439 |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 433 |
| 5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 429 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა პეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge